საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი, 6 ნოემბერი, 1919 წ.

# ერთობა

ფასი 2 მანეთი

გაზეთი ღირს 1 თვით 50 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 2 მანეთი, განცხადებას ფასი, ... ... გვერდზე, ისე მეოთხეზე, ... ... მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომისა 60 მანეთი. ნისია განცხადებები არ დაიბეჭდება. რედ... და კანტორის ადრესი: რუსთაველის პრ. № 24.

ტელეფონი 16—62.

№ 253 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 253

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე დონიკო, მამა გიორგი, ძმები: ერმალოზი და მიხეილი, ძმისწული ალექსანდრე, შვილები: შალვა და კაკო, ცოლის ძმის შვილი მარუსა, რძლები: კატო და პელო აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 5 ნოემბერს, საღამოს 8 ს. თფ. სადგურიდან დ. ხარაგოულში წაასვენებენ

**ზაქარია გიორგის ძე**

და შვილს მისას

**ვალენტი ზაქარიას ძე არჯევანიძეებს.**

(2907—1—1)

ცრემლ შეუშრალნი და გულმოკლულნი პირისუფალნი: უბედური მეუღლე თეო ილარიონის ასული, შვილები: ელენა, ანდრია და მარიამ მაჭარაშვილები, სიმამრ სიდედრი: ილარიონი და დესპინე პავლეს ასული სალაძეები, ცოლის ძმა ამბროსი ილარიონის ძე სალაძე, ცოლის დები: ალექსანდრა გოგიაშვილისა და აგრაფინა დუგლაძისა, ქვისლები: პოლიკარპე დავითის ძე გოგიაშვილი და ვალერიანე გრიგოლის ძე დუგლაძე, ცოლის დის შვილები: იონა გოგიაშვილი, და ვენერა და ვახტანგ დუგლაძეები, გულითადის მწუხარებით აუწყებენ მეგობართ და ნაცნობთ მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარის მღვდლის

**ვლადიმერ მაჭარაშვილის**

გარდაცვალებას, რომლის ნახევარი წლის თავის წირვა და პანაშვიდი დანიშნულია ქ. ქუთაისში ამა გიორგობისთვის 9 დღით კვირას (ახალი სტილით). წირვა დაიწყება 9 საათზე, პანაშვიდი 12 საათზე საფიჩხიის სასაფლაოზე (2885—1—1)

ღრმათ დამწუხრებულნი მშობლები: ერმალო და ვასასი, ძმა კოლია, დაი ლოლა შევარდნაძენი. ნათლია სამსონ და ლუბა შვილებით კალანდაძენი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს, რომ ხანმოკლე ავად მყოფობის შემდეგ 13 ოქტომბერს უდროოდ გარდაიცვალა მათი საყვარელი

**შუტუ (შურა) შევარდნაძე**

დასაფლავება მოხდა 14 ოქტომბერს სადგურ გაგრის სასაფლაოში გაგრაში. (2909—1—1)

ღრმა მწუხარებაში მყოფნი: მეუღლე სოსო, პაწია შვილი კოკო, დედა ნინო, ძმები მათე, ლევარსი და ვარლამ მენაბდეები; დაი ლიუდმილა და სიძე აკაკი მიქაძეები; დედმამთილი ლიზა, მამამთილი ივანე, მაზლები ალექსი, ვასილი და პეტრე აუწყებენ ნათესავ მეგობარ ამხანაგ ნაცნობთ, რომ ტრაღიკულად დაღუპულ შემოქმედის უმაღლეს დ წყებით სკოლის მასწავლებლის

**სარა მელიქიშვილის**

სულის მოსახსენებლად 40 დღის წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქნება 9 ნოემბერს, კვირას, 10 საათზე წითელმთის ეკლესიაზე (ოზურგეთის მაზრა) 2910—1—1)

გულდაწყვეტილნი დედა მაშო, მამა დეკ. არსენ შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ უდროოდ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

**ალექსანდრა (შურა) თოხაძე**

პანაშვიდი გადახდილი იქნება მიხეილის საავადმყოფოში ხუთშაბათს 6 ნოემბერს საღამოს 5 საათზე. დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (2911—1—1)

დამფუძნებელი კრების კანცელარიის მოსამსახურენი მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ და ამხანაგ მათი თანამშრომლის დაუვიწყარი

**ალექსანდრა (შურა) თოხაძის**

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ უდროოთ გარდაცვალებას, პანაშვიდი ყოველ საღამოს 5 ს. მიხეილის საავადმყოფოში. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (2911—1—1)

## ყაჩაღი და დეზერტირი

ორი მუწუკი ჩვენი ერისა, ორი მტკივანი ადგილი—ჩვენი სოფლის ცხოვრების, ორი დამაბრკოლებელი მიზეზი ჩვენი ქვეყნის მოწესრიგებისა, ორი დიდათ გავრცელებული სენი, გადასადები ჭირი—ნაანდერძევი არეული და ანარქიული ეპოქისაგან—დეზერტირი და ყაჩაღია პირველი ლაჩარი მოქალაქეა—რომელიც გაურბის თავის მცირე, მაგრამ მნიშვნელოვან მოვალეობას. მეორე გაბედულია—მაგრამ გაბედულება ხალხის და საზოგადოების წინააღმდეგ აქვს მიმართული. პირველი უცნაურია, მეზობელ-ნათესავებში გახრწნის შემტანი, მეორე საერთო უბედურების წყარო, ჩირქის მომცხები მეზობელ ნათესავის.

პირველი ანტიდემოკრატიული ბაცილაა, რომელიც თავის ტყავის დასაცველად მთელ ხალხს, მთელ დემოკრატიას, რევოლიუციის ყველა მონაპოვარს, რომლითაც სარგებლობს, ღვთის ანაბარათ სტოვებს. მეორე თავზე ხელაღებული და პირადი გამოსარჩენისათვის—ტყეს შეჭფარებია, რომ დემოკრატიის ცხოვრება ააფორიაქოს, ქვეყანა დაარბიოს და ააწიოკოს. დეზერტირი და ყაჩაღი—ეს ორი დიდი უბედურებაა ჩვენი საზოგადოების.

და ეს ორი სნეულება ერთმანეთზე გადაბმულია, ხშირათ ქვეყნის საქმეში ლაჩარი დეზერტირი—საყაჩაღოში თავგამოდებულია. დეზერტირობა—ეს უარყოფა თავის მოქალაქობრივ მოვალეობის, ეს დამალვა საზოგადოების სამსახურისაგან — იძლევა კონტიგენტს — ტყეთ გავარდნილ ყაჩაღებისას, რომელნიც იმავე საზოგადოებას ესევა მშიერ მგლებსავით.

და რაც უფრო მოუწყობელია მაზრა, რაც უფრო შეუგნებელია მასსა, გაუნათლებელია საზოგადოება—მით უფრო ძლიერია ერთიც და მეორეც.

გორის და დუშეთის მაზრა, კახეთის განაპირა ადგილები—მთის მივარდნილი კუთხეები—აი ბუდე და წყარო ამ საშინელების, რომელიც ლამის საერო განსაცდელათ გადაიქცეს. დღე ნაკლული ბოლშევიზმის—უდღეური ამყოლ-დამყოლნიც—ამ დაკარგულ ხალხს ამოსდგომიან. მათ ტლაპოში სიამოვნებით დატყაპუნობენ და საერთო ანარქიის ცეცხლის ანთებას მათი ხელით ლამობენ.

ყაჩალთა ბრბო, შემდგარი ძველი ტყეთ გავარდნილი წინამძღოლების და დეზერტირებისაგან, იმდენათ გათამამდნენ, იმდენათ გათავხედდნენ, რომ სოფლებს კონტრიბუციას ადებენ, ახალგაზრდებს მობილიზაციით იწვევენ თავის რაზმში, და ამ რიგათ აფართოვებენ თავის ლაშქარს.

გორის მაზრის ქალაქები და დაბები დაზღვეული არაა მათი თავდასხმისაგან. როგორც შავი ყორნები—შესჩერებიან ეს გაველურებული ადამიანები ამ კულტურულ ცხოვრების ოაზისებს, რომ აღმოფხვრან იგინი, გასთელონ, გაანაცარმტვერონ.

ბოლშევიზმის მოძრაობისაგან, მათი თავაწყვეტილი დემაგოგიისაგან შავათ ამოძრავებული ხალხი—დღეს ველარ უბრუნდება ცხოვრების ნორმალურ კალაპოტს.

24 ოქტომბრის გადატრიალების მოლოდინში და დასარბევათ გამსუნაგებული, იგი ახლა ველარ ისვენებს, ბორგავს, შფოთავს და აღელვებს მშვიდობიან მცხოვრებლებს. სოფელი, მიტოვებული თავის ანაბარათ, ვერ უძლებს ამ გამხეცებულ ხალხის იერიშებს, მას არა აქვს ბევრგან ჯერ კიდევ იმდენი საზოგადოებრივი აღზრდა, რომ თვით გაუმკლავდეს ამ მთარულს ჩენს, ამ ბოროტების თესლს ბოლშევიზმის უმსგავსს ნაშრომს—ერთათ შეერთებულს.

სოფელი დრტვინავს მათი მძიმე უღლის ქვეშ. დემოკრატია, შეგნებული ნაწილი შრომის მოყვარე—სოფლის ხალხის მოელის შველას და ხსნას რესპუბლიკისაგან, თავის შეგნებულ მოძმეთაგან. იგი სწყევლის მის ზურგზე გაბატონებულ ავაზაკებს და ხმა ვერ ამოუღია. მიეშველეთ სოფელს! დაეხმარეთ ამ ქვეყნის მარჩენალთ. ჩამოაშორეთ მას ეს მუწუკები, ეს ხორცმეტები, განკურნეთ იგი ამ გამანადგურებელ სენისაგან. დეზერტირი და ყაჩაღი უნდა მოშორდეს სოფელს. პირველი დაუბრუნდეს თავის მოვალეობას. მეორე აილაგმოს და აღმოიფხვრას. პირველმა უნდა შეიგნოს, რომ არის რესპუბლიკა, რომელიც იძლევა უფლებებს, მაგრამ გვაძლევს მოვალეობებს. მეორემ უნდა იგრძნოს სიფიცხე და სიძლიერე დემოკრატიის სამართლისა, მისი აღშფოთებული გრძნობისა, მისი შეურყეველი გულის წყრომისა.

დეზერტირი არცხვენს თავის თავს, არცხვენს სოფელს, არცხვენს თავის მახლობელ ნათესავს.

ყაჩაღი—სვრის და ბოროტებაში აგდებს მათ ვინც დეზერტირია—ის თავის სოფლის, თავის მშობლების—თავის ნათესავების ლაქის მომცხებია. იგი მათაც ღალატობს და საქართველოს დემოკრატიასაც. ყაჩაღებზე ლაპარაკიც მეტია. მათი სიბოროტე ხომ უდავოა. და განა ვინმე შეიფარებს და შეივრდომებს ასეთ გარეწარ ხალხს, ამ ადამიანობის საფლავის გულს, გამხეცებულს, რომელსაც სისხლი ღვინოთ უჩანს, ხოლო მკვლელობა სიამოვნებათ?

მთელი დემოკრატია უნდა აღსდგეს ამის წინააღმდეგ. მალე დადგება დრო ახალი მობილიზაციის. უნდა ყველა გამოცხადდეს სამხედრო მოვალეობის ასასრულებლათ, ვინც გაექცევა ამ მოვალეობას, ის ხალხის მოღალატეა, ის სამარცხვინო ბოძზე გასაკრავია. და ის კანონის სისასტიკეს ვერსად გაექცევა.

ყაჩაღებს მუსრი—იგინი შეუბრალებლათ უნდა იქნენ აღმოფხვრილი ჩვენი ცხოვრების ფურცლებიდან. ამას მოითხოვს ინტერესი ხალხის, ინტერესი დემოკრატიის.

---

**ყალბია და დამღუპველი ის აზრი, თითქოს პოლიტიკური პარტიის პირდაპირ მოვალეობას არ შეადგენს ავაზაკთა და დეზერტირთა წინააღმდეგ ბრძოლა.**

## მუნიციპალური მრეწველობა

ჩვენი სამშობლოს ეკონომიური სიდუხჭირე ყველასათვის ცხადია. ბევრი არ მოიპოვება ისეთი სახელმწიფო, რომელიც ჩვენი ქვეყანასავით ეკონომიურათ ჩამორჩენილი იყოს. ასი წლის მონობამ და რუსეთის ბიუროკრატიის ყოველგვარი ინიციატივის ჩამკლავმა პოლიტიკამ თავის ნაყოფი გამოიღო. არც ერთი თვალსაჩინო ფაბრიკა ქარხანა ჩვენ ტერიტორიაზე არ ჰქონდა. ყველასათვის ცხადია ისიც, რომ ასეთი მდგომარეობის გაგრძელება ყოვლად დაუშვებელია. ჩვენი დამოუკიდებლობა მტვრათ იქცევა, თუ ჩვენ ვერ შევძლებთ ჩვენი წარმოების აღორძინება. ყოველივე ეს ისე აშკარაა, რომ ამაზე ბევრის ლაპარაკი არც ღირს. ოღონდ საკითხი იმაშია, თუ რა გზას უნდა დავადგეთ, რომ ამ უკიდურეს მდგომარეობასთან გამოსავალი ვნახოთ.

მწარე სინამდვილემ დაგვიმტკიცა, რომ იმ საშინლათ გარყვნილ და გათახსირებულ ხანაში, როდესაც ყოველი ვაჭარი თავის ფულზე ცდილობს ხუთას და ათას პროცენტის აღებას სპეკულიაციის მეოხებით კერძო ინიციატივაზე იმედების დამყარება ყოვლად შეუძლებელია. საწარმოვო კერძო კაპიტალი არ ყოფილა ჩვენში რევოლიუციამდე და შეუძლებელია დღეს შეიქმნეს, სანამ ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში არ ჩადგება.

მაშასადამე მთავრობა იძულებულია თვით მიაქციოს ყურადღება ამ საქმეს. მაგრამ შეუძლია კი მთავრობას თვით აწარმოვოს ეგ საქმე? რასაკვირველია არა. მას ჯერჯერობით არა აქვს ამისათვის არც სათანადო აპარატი და არც დრო.

ერთად ერთი ორგანო, რომელსაც დიდი საქმის გაკეთება შეუძლია ამ დარგში, ეს ადგილობრივი თვითმართველობაა. მხოლოდ მას შეუძლია დღეს წარმოების საფუძვლის ჩაყრა ჩვენში. ეს მით უმეტეს, რომ რამდენათ ჩვენ ვიცით, ზოგიერთი ქალაქის თვითმართველობები და ერობები უკვე შეუდგა ასეთ მოღვაწეობას, როგორც მაგალითათ ქუთაისის ქალაქის თვითმართველობამ, ოზურგეთის და ქუთაისის ერობები და სხვა.

ოღონდ მათ ასეთ მოღვაწეობას დიდი დახმარება და წახალისება სჭირია. თუ თვითმართველობაზე სესხის გაცემის სარგებლობა მოხელეთა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ საეჭვო და სადაოა, მაგიერათ წარმოების გასაჩაღებლათ მათი დახმარება ბევრათ სარგებლიანი და სასურველია. ყოველი მანათი ამ საქმისათვის გადადებული არამც თუ დაკარგულათ უნდა ჩაითვალოს, პირიქით ორგვარათ სარგებლიანია ის. ჯერ ერთი, ხელს შეუწყობს ჩვენი ნორჩი სახელმწიფოს ეკონომიურ აღორძინებას და მეორეც, თვით თვითმართველობებს გაუჩნდება უტყუარი და თვალსაჩინო შემოსავლის სახსარი, ვინაიდან მავნე ოცნებათ უნდა ჩაითვალოს ის მოსაზრება, თითქოს ერობათა ბიუჯეტს შეეძლოს გადასახადის ამარა დარჩენა.

---

**ხალხის შეგნება და თვით მოქმედება მოსპობს ყაჩაღობას და აღმოფხვრის დეზერტირობას.**

## დამფუძნებელი კრება

4 ნოებრის სხდომა.

თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე.

მდივანი გრ. ნათაძე კითხულობს ახლად შესულ კანონ პროექტებს, რომლებიც გადაეცა სათანადო კომისიებს. გრ. ნათაძის მოხსენებით მიღებულ იქნა საბოლოო ტექსტში შემდეგ კანონპროექტებისა: 1) გზა ტკეცილების სამმართველოს განკარგულებაში 380,000 მან. კრედიტის გახსნისა, ოსეთის სამხედრო გზის შეკეთებისათვის. 2) შინაგან საქმეთა სამინისტროს საექიმო სასანიტარო განყოფილების შტატის და ხარჯთ აღრიცხვის დამტკიცების დეკრეტ სა. 3) სახელმწიფო კანტროლიორის შტატის დამტკიცების კანონისა. 4) შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხრო და საქალაქო სას. მართლოს საექიმო განყოფილების შტატისა და ხარჯთ აღრიცხვის დეკრეტისა. 5) თფილისის საშუალო კულტურული ტეხნიკურისა, ქუთაისის სასოფლო სამეურნეო და წინამძღვრიანთკარის სასოფლო სამეურნეო სკოლების შტატის და ხარჯთ აღრიცხვის დეკრეტისა.

**გაგრძელება მსჯელობისა საქართველოს რესპუბლიკის ბონების გამოცემის განგრძობის დეკრეტის შესახებ.**

**თ. ღლონტი** (ს. ფ.). ორატორი თავის სიტყვის დასაწყისში აღნიშნავს, რომ სოციალისტ რევოლიუციონერების წინადადება, რომელიც მათ წინა კრებაზე განაცხადეს, ანტი სახელმწიფოებრივია. ისინი მოითხოვენ არ მიეცეს მთავრობას უფლება ბონების გამოცემის. ეს დღევანდელ პირობებში ნიშნავს სახელმწიფო ორგანიზმის ძირის გამოთხრას. ორატორი აცხადებს, რომ სოციალისტ ფედერალისტთა ფრაქცია თანახმა არის მიეცეს მთავრობას საემისიო უფლება, მხოლოდ საჭიროთ მიგვაჩნია ზოგიერთ გეგმების შეცვლა, რომელიც ხელს შეუშლის ქვეყნის ეკონომიურ განვითარებას. ორატორი ეხება რამონოპოლიის გამოცხადებას ზოგიერთ საგნებზე, აღნიშნავს, რომ მხოლოდ ზედმეტი საქონელი უნდა იქნას გატანილი უცხო ბაზარზე და ჩვენი ქარხნები უნდა უზრუნველყოფილ იყვნენ ამ ნედლი მასალით. საჭიროა გამოცხადდეს მონოპოლია არა მარტო ექსპორტზე, არამედ იმპორტზედაც. სახელმწიფომ მზრუნველობა უნდა გაუწიოს შინაურ მრეწველობას, საბაჟოების სისტემის მოგვარებით. პროტექციონური სისტემის შემოღებით ორატორს საჭიროთ მიაჩნია, რომ მთავრობა სამრეწველო მუშაობაში მხოლოდ დემოკრატიას დაეყრდნოს. კერძო ინიციატივა მაშინ კიდებს ხელს მრეწველობას, როცა უსაზღვრო მოგება რჩება. ეხლანდელ დროში ბურჟუაზია იმდენს ვერ მოიგებს მრეწველობაში, რამდენსაც იგებს სპეკულიაციაში, და არც აბანდებს იგი კაპიტალს ფაბრიკა ქარხნებში. მრეწველობას ხელს მოკიდებს მხოლოდ ის, ვინც არ არის დაინტერესებული დიდი მოგებით. მხოლოდ დემოკრატიულ ორგანიზაციებს შეუძლიანთ მრეწველობის განვითარებას შეუწყონ ხელი. ორატორს საჭიროთ მიაჩნია მოხდეს დევალვაცია ფულის, ამით მხოლოთ სპეკულიანტები დაზარალდებიანო. ორატორი დაასკვნის თავის სიტყვას და აქვეყნებს სოც. ფედერ. ფრაქციის სახელით შემდეგ დებულებებს: 1) მონოპოლია ყველა სამონოპოლიო საქონლისა, მონოპოლიურ საქონლით უზრუნველყოფა შინაურ მწარმოებლების, ეროვნულ მრეწველობის გაჩენისთვის პროტექციონური სისტემა, იმპორტის მონოპოლია, სასურსათო ორგანოს ერთი ცენტრის შექმნა, დევალვაცია, კრედიტის მონოპოლია კრედიტის ნაციონალიზაციის სახით, უცხოეთიდან სესხის აღება.

**ალ. ახათიანი** (ნ. დ.). ორატორის აზრით სტერლინგების ფასი კი არ ეცემა, არამედ ჩვენი ბონების ფასი ეცემა დღითიდღე. ბონები განუსაზღვრელად გამოდის და იგი არ ემსახურება თავის პირდაპირ დანიშნულებას—ე. ი. ვაჭრობა მრეწველობას. კრედიტების და გადასახადების საკითხი მოუწესრიგებელია და ესეც ხელს უწყობს ბონების ფასის დაცემას. ბურჟუაზიულ წრეებსაც სრულიადაც არ უნდათ ბონების ფასი დასცენ, როგორც ამას სწერს გაზეთ „ერთობაში" ს. ავალიანი. ორატორი კითხულობს ს. ავალიანის წერილებს და შემცდარათ მიაჩნია ავტორის მოსაზრებანი. მას საჭიროდ მიაჩნია შეიქნას ხელსაყრელი პირობა ვაჭრობა-მრეწველობისათვის. და კერძო ინიციატივასაც, კერძო ვაჭრებსაც უნდა მიეცეთ ისეთივე თავისუფლება, როგორიც ეს საზოგადო დაწესებულებას კოოპერატივებს აქვთ. კერძო ინიციატივა არ უნდა იქნეს დახშული.

**კ. კანდელაკი** (ფინ. მინ.). ბატონებო, მე აქ არ გამოვედი იმის დასამტკიცებლათ, რომ ზედმეტი ემისიებით გამოკეთდებოდეს ჩვენი ფინანსიური მდგომარეობა. ასეთი აზრი აქ არავის წამოუყენებია და თუ მაინც შენგელაიამ ამითი დაიწყო კრიტიკა, ეს მიტომ, რომ ადვილი დასარღვევი არის ეს დებულება. ხშირად ჩვენი ოპოზიცია ანგარიშს არ უწევს, თუ რა საკითხი ირჩევა და კონკრეტიულ საგანს სულ სხვა სფეროში აყენებს. ის კითხვები, რომლებიც აქ წამოაყენეს, გასარჩევია ბიუჯეტის განხილვის დროს. ჩვენ გვისაყვედურებენ, რომ არ გაქვთ გეგმა, პროგრამაო. მე არ ვიცი, განა შესაძლებელია, რომ მინისტრი ყოველ კონკრეტიულ შემთხვევების დროს გამოდიოდეს აქ თავის გეგმების განმარტებით? თქვენ მოისმინეთ მთავრობის დეკლარაცია, სადაც გაშუქებული იყო ჩვენი ეკონომიური პოლიტიკა, წარდგენილ ბიუჯეტის პროექტს დართული აქვს სამინისტროს გეგმები ჩვენი ფინანსების შესახებ. ფედერალისტები გვისაყვედურებენ, ვერ შექმენით მრეწველობაო. მაგრამ დაგვისახელონ ისეთი ქვეყანა, სადაც ამ არეულ-დარეულ ხანაში აყვავდა და განვითარდა მრეწველობა. იყო თუ არა შემთხვევები, რომ ჩვენ კერძო ინიციატივისათვის ხელი არ შეგვეწყო, ამას თქვენ ვერ დამიხახელებთ. მე კი ვიტყვი, რომ ჩვენ ღარიბ ხაზინიდან ასი ათასი მანეთები გაგვიცია ასეთ საქმისათვის. კაპიტალისტებმა კარგად იციან, რომ დღეს მათ ვაჭრობა 100 პროცენტს მოგებას აძლევს, მრეწველობა მათ ამდენს ვერ მისცემს და ამიტომაც ეწევიან ისინი სპეკულიაციას. აქ სთქვეს, რომ მთავრობა არ ეხმარება საზოგადო დაწესებულებებსო. უნდა იცოდეთ, რომ ადგილობრივ თვითმართველობებს 30 მილიონი მანეთი მიეცა და თუ მათ ვერ მოახერხეს მრეწველობის განვითარება, ალბად მათთვისაც არსებობდა ის დაბრკოლება, რაც ხელს უშლის მრეწველობის განვითარებასა და ... ბ. ღლონტი ამბობს, კოოპერატივებს არ ეხმარებითო. მან უნდა იცოდეს, რომ საქონლის საკრედიტო მომხმარებელ საზოგადოებას 10 მილიონი მანეთი მართებს ხაზინისა. ჩვენ არ ვადგევართ ისეთ პოლიტიკას, რომელზედაც დღევანდელ სოციალურ პირობებში მხოლოდ თეორიულად შეიძლება ... ექსპორტის, იმპორტის სრულ მონოპოლიას ვერ ვაღიარებთ, მაგრამ იმის წინააღმდეგიც ვართ, რომ დღევანდელ პირობებში თავისუფალი ვაჭრობა დამყარდეს. ეს თვით ინგლისშიაც კი არ არის დღეს. მონოპოლიზაცია ერთბაშად არ შეიძლება. რაც შეეხება იმპორტის მონოპოლიას, თუ ეს ემ მით ისე, რომ თვით სახელმწიფო უნდა ანაწილებდეს შემოსულ საქონელს, ეს დღეს სრულიად მიუღებელია. პროტექციონიზმი დღევანდელ პირობებში ნიშნავს იმას, რომ სანამ ჩვენში არ შეიქნება ფაბრიკები, არავითარი საქონელი არ უნდა შემოუშვათ აქ. რაც შეეხება ნედლ მასალას, ჩვენ უზრუნველვყოფთ ადგილობრივ ქარხნებს ორი წლით მაინც და ზედმეტ საქონელს გავიტანთ მხოლოდ. მისაყვედურეს, რომ თქვენ აფერხებთ წარმოების გაჩაღებას. თქვენ ხელი არ მოუმართეთ და ადერბეიჯანში გახსნეს თამბაქოს ქარხანაო. როგორც ჩვენ ვზრუნავთ მრეწველობისათვის, იქაც ისე ზრუნავენ და გახსნეს თამბაქოს ქარხანა, ჩვენშიაც გაიხსნა ორი ქარხანა. წარსულ სხდომაზე თქვენ სთქვით, რომ მთელი ყურადღება მიქცეულია ბონების ბეჭვდაზე და გადასახადებს კი არ აგროვებთო. მინისტრი კითხულობს იმ ციფრებს, რომელიც გადასახადებით შემოსულა. წასულ წლის პირველ ივლისს ხაზინაში შემოსულა 8 მილ. მეტი, ოქტ. 6 მილ. მეტი, დეკ. 8 მილ. მეტი, ამა წლის აპრილში 9 მილ., ივლისს 18 მილ. მეტი, სექტემბერში 21 მილ. მეტი, აქედან დაინახავთ, რომ გადასახადების მოკრების საქმე არც ისე უნუგეშო მდგომარეობაშია. თუმცა ფულის საკითხი ეკონომიურ მეცნიერებაში ერთ უდიდეს საკითხად არის მიჩნეული, ჩვენში ნამეტნავად გაამარტივეს ეს—ვინ არ გინდათ, რომ ამ საგანზე ლექციებს არ კითხულობდნენ. მაგრამ თუ არ ცოდნა ეპატიება ობივატელს, სრულიად დაუშვებელია, რომ დამფუძნებელი კრების წევრი გამოდიოდეს აქ და ობივატელურათ მსჯელობდეს. ყოვლად შეუძლებელია ბიუჯეტის ემისიასთან დაკავშირება, თქვენ შეგიძლიანთ ბიუჯეტის წინააღმდეგ მისცეთ ხმა. მაგრამ როდესაც თქვენ გინდათ უნიშნოთ დასტოვოთ სახელმწიფო, ეს პირდაპირ წარმოუდგენელია. როდესაც მსჯელობთ ჩვენი ბონების სიმრავლეზე, ნუ გავიწყდებათ, რომ სხვა სახელმწიფოები სესხს ღებულობენ, და თუ არ ყოფნით სესხი, ქაღალდის ფულს უშვებენ. ჩვენ სესხი არ გვაქვს გარდა ბონებისა და ეს ბონები ჩვენი სესხი არის. თუ თქვენ აიღებთ საფრანგეთს 1912 წელს თითო სულზე ვალი მოდიოდა 291 მანეთი. ჩვენში 500 მილ. მან. ბონებია ამიერ კავკასიის, 250 მილ. ჩვენი ბონების. სულ 750 მილ. და თუ ვიანგარიშებთ 2 ნახ. მილ. მცხოვრებთ, მივიღებთ, რომ ჩვენში სულზე მოდის 286 მანეთი. ისიც არის მისაღები მხედველობაში, რომ რუსეთის დაწესებულებათა ლიკვიდაცია მოხდა ჩვენი ბონებით. რასაკვირველია სხვა ქვეყნების წარმოება გაცილებით მეტია. თქვენის აზრით ფუ-

# დღეს

სკანდინავიის მეზღვაურთა ყრილობამ დაადგინა სთხოვოს დანიის, შვეციის და ნორვეგიის მთავრობებს, რომ ისინი ეცადნენ მოკავშირეებს ბლოკადა შეაწყვეტინონ.

იუდენიჩის მთავრობამ სტოკჰოლმში 200 მილიონ მანეთის ქაღალდის ფულის დაბეჭდვა შეუკვეთა.

ცარიცინის მიმართულებით წითელმა ჯარმა ცარევო აიღო.

ფასტოვთან მკაცრი ბრძოლებია.

პეტროგრადის ფრონტზე წითელმა ჯარმა დაიპყრო ვინდავის რკ. გზის რამოდენიმე სადგური.

მოხალისეთა ჯარმა აიღო ქ. ორიოლი და კრომი. 4—17 ოქტომბრამდე წითელ ჯარს დაუკარგავს 35,000 ჯარისკაცი ტყვეთ.

ცარიცინში ძარცვა გლეჯაა.

---

ლის კურსის დაცემის მიზეზი ეს არის მხოლოდ ემისიის გამრავლება. კურსის დაცემის მიზეზი არ არის მარტო ეს. მინისტრი ამ თავის დებულებას ამტკიცებს სხვადასხვა ცნობილ ეკონომისტ მეცნიერთა აზრებით; თქვენ ამბობთ, რომ სტერლინგების სიმცირე არ ქმნიდეს ფულის კურსის დაცემას, თქვენ ჩვენი ფული უნდა შეადაროთ არა ინგლისის კურსს, არამედ მხედველობაში უნდა მიიღოთ, რომ ნეიტრალურ ზონაში ჩვენი ფული მეტად ფასობს, ვიდრე დონის, ადერბეიჯანის და სხვა ფულებზე. ამიერ-კავკასიის და ადერბეიჯანის ბონებზე ლაჟი არსებობს. ჩვენში კი ამიერ-კავკასიის და ჩვენ ბონებს შუა არავითარი ლაჟი არ არის. თვით კერენკები, ერთ დროს დიდ ღირებულებას წარმოადგენდენ, ეხლა კი აუარებელი ფული შემოქონდათ კერენკების ჩვენ ბანკებში და ითხოვდენ ჩვენ ბონებზე გადახურდავებას. როდესაც ლაპარაკი ისეთ სათუო საგანზე არის, როგორიც არის ფული, გთხოვთ საქმეს ობიექტიურ-მეცნიერულად და პრაქტიკულ თვალსაზრისით შეხედოთ, რომ ყალბი შეხედულება არ გაავრცელოთ ხალხში (ტაში).

ს. მდივანი (მომხ.) აღნიშნავს, რომ საბიუჯეტო საფინანსო კომისიაში ამ საკითხს სულ სხვა ხასიათი ჰქონდა, აქ კი პლენუმზე ეს გააფართოვეს და მსჯელობას ფართო ხასიათი მისცეს. ორატორი აკრიტიკებს სოც.-რევოლ. გამოსვლას. აღნიშნავს, რომ მათი წინადადება, არ მიეცეს მთავრობას საემისიო უფლება, ეს არის არა მთავრობის, არამედ სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლა.

კამათი დასრულდა. დამფუძნებელმა კრებამ მიიღო დეკრეტი, რომლის ძალითაც მთავრობას ენიჭება უფლება გამოსცეს სამასი მილიონი მანეთის ბონები. დეკრეტის წინააღმდეგ მისცეს ხმა მხოლოდ სოციალ-რევოლიუციონერებმა.

---

**ყველა და ყველაფერი უნდა ამოძრავდეს ავაზაკთა, დეზერტირთა და ყაჩაღთა წინააღმდეგ.**

---

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

5 ნოემბერი.

**ნიკოლაევის რადიო სადგურის ცნობა.**

ამ მოკლე ხანში სამხრეთ რუსეთის შეიარაღებულ ძალების ბანაკში გენ დენიკინთან მოვა ბრიტანიის სამხედრო მისიის ყოფილი უფროსი მთავარსარდალთან გენ. ბრიგი და საფრანგეთის სამხედრო მისია გენ. მანჟენის მეთაურობით. მისიის შემადგენლობაში 100 ფრანგი ოფიცერია. ოდესიდან იუწყებიან, გენ. სლაშჩევის ჯარის შეტევა, რომელიც პეტლიურას წინააღმდეგ მოქმედებდა 15 ოქტომბრიდან, გაისინის მიმართულებით დამთავრდა 19 ოქტომბერს. ვოლინის იმ რაზმის შეტევით, რომელიც პეტლიურამ შეადგინა ოდესისკენ გზის გასახსნელად. შემოდგომის ცივი დღეები, ხშირი წვიმები, ტალახები და წვიმისაგან ადიდებული ბუგი ძლიერ ხელს უშლიდა ჯარის წინსვლას. ამ ოპერაციის დროს ჩვენმა ჯარმა 4000 ტყვე წამოიყვანა, ამათ რიცხვში 3 პოლკოვნიკი არის, 1 არტილერიის ინსპექტორი, ორი პოლკის უფროსი, რაზმის შტაბის კომენდანტი და შტაბ. ოფიცრები, ამას გარდა წამოვიღეთ 7 ზარბაზანი, 48 ტყვიისმფრქვეველი, 1 ჯავშნიანი მატარებელი, 2 ავტომობილი, მრავალი ორთქლმავალი და მატარებელი, მრავალი საარტილერიო და სატელეფონო ქონება.

წითლებმა ორიოლს დიდი მნიშვნელობა მისცეს და ჩვენ შემდეგ ჯარის წინააღმდეგ 20 კომუნ. ნაწილი შეახვედრეს. სისხლის მღვრელმა ომმა, რომელიც დასრულდა სად. ეროპკინოს და რამდენიმე სულის დაჭერით, და აგრეთვე დასავლეთით ქალ. კრომის დაჭერით, უჩვენა წითლებს, რომ წინააღმდეგობა ტყუილ უბრალოა, რომ მოხალისეთა მიზანი ასრულდება, რაც არ უნდა მოხდეს. შეუჩერებელი წინსვლით ჩვენმა გმირმა ჯარმა მისდია მტერს, შეიჭრა ქალაქში, სადაც თავის მხსნელებს შეხვდნენ აღფრთოვანებით და „ქრისტე აღსდგას“ გალობით. ორიოლზე ჩვენს შეტევას ხელი შეუწყო ჯავშნიანი მატარებლის მუშაობამ, რომელიც სწმენდდა გზას. ბოლშევიკების ზარალი დიდია. წითელი ფრონტი სამხრეთში მარცხდება. 4—17 ოქტომბრამდე წითელმა ჯარმა დაჰკარგა 35,000 ტყვე, 50 ზარბაზანი, 90 ტყვიის მფრქვეველი. მოხალისეთა არმიის ფრონტზე კი—20,000 ტყვეთ, 21 ზარბაზანი, 141 ტყვიის მფრქვეველი. დავხოცეთ... (შემდეგ მიღება შეუძლებელი შეიქნა.

**გერმანული პრესის ცნობები.**

ბერლინის გაზეთებში დაიბეჭდა ლონდონის საინფორმაციო ბიუროს ცნობა პროტესტის შესახებ იმ მოთხოვნილების გამო, რომ გერმანიამ 140 ათასი ძროხა უნდა გადასცეს მოკავშირეებს. პროტესტს ხელს აწერენ: ლორდი რობერ სესილი, ლორდი ლანდსდაუნი, კენტერბერიის და იორკის არქიეპისკოპოსები, გერცოგინია ვერფორდი, სერ ბელლი, არტურ ჰენდერსონი და სხვა გამოჩენილი საზოგადო მოღვაწენი. პროტესტი მიმართულია საზავო ხელშეკრულების შემსწორებელ კომისიისადმი. პროტესტში მოთავსებულია ზოგიერთი ადგილები ინგლისის „თეთრი წიგნიდან“, რომელიც მოწმობს, რომ გერმანიაში საშინლად გაძვირდა სანოვაგე. ხალხთა ლიგის, საყოველთაო ზავის, განიარაღების და სხვა მშვენიერ საქმეთა შემქმნელი პარიზელები გერმანიის სახელმწიფოებრივ ცხოვრების ერთად ერთ შემაფერხებელ საშუალებას სამხედრო ზომებში ხედავენ.

ზემო სილეზიაში ადგილობრივ არჩევნებში მოკავშირეების გავლენას მოკავშირეთა კომისიის მოსვლამდე იხილავს, ბრესლავის გაზ. „ოსტდეიტშე მორგენ პოსტ“ი, რომელიც სწერს, რომ ხელშეკრულების თანახმად, მოკავშირეებს ევალებათ თვალყური ადევნონ ვალდებულებათა შესრულებას მხოლოდ მას შემდეგ, რაც საზავო ხელშეკრულება ძალაში შევა, რომ მას არა აქვს უფლება ჩაერიოს შინაურ საქმეებში, სანამ ზემო სილეზიის მართველობა ოფიციალურად მოკავშირეთა კომისიას არ გადაეცემა. ამ ჩარევის ნამდვილ მიზეზათ გაზეთს ის მიაჩნია, რომ მოკავშირეებს სურთ არჩევნების შედეგებზე გავლენა მოახდინონ.

ბერლინის პრესა აღნიშნავს, რომ, როგორც სჩანს, მოკავშირეებს სურთ დაფარონ საზავო ხელშეკრულების წინააღმდეგობა, მაგრამ იმავე დროს ის იმავე გზით სიარულს აპირებს. იმის მაგიერ, რომ გერმანიას დაეხმაროს ზარალის ანაზღაურებაში, მოკავშირეები ახალ რეპრესიულ ზომებს ღებულობენ. რაც უფრო აგვიანებენ საზავო ხელშეკრულების დადასტურებას, იმდენათ უფრო მტკიცდება ის რწმენა, რომ მოკავშირეთა სახელმწიფო პირებს ზავისა ეშინიათ. თუ დროებითი ზავის პირობები ხელუხლებელი დარჩა, ყოველ წამს იქნება მოსალოდნელი გამოსვლები. მომავალ არჩევნებზე საფრანგეთის სოციალისტების პროგრამის უტყუარი მაჩვენებელია შემდეგი საშინელი და უდავო ფაქტი: ყველა ქვეყნების განიარაღება გერმანიიდან უნდა დაიწყოს. „ლოკალ ანცაიგერი“ ამბობს, რომ ზავის და დროებითი ზავის ხელშეკრულებაში არის გულუწრფელობა, რათა გერმანია გაენადგურებიათ და რძის სიმცირით ბავშვები დაეტანჯათ, რაც განსაკუთრებით საგრძნობი გახდა მომავალ ზამთარში. შემდეგ პროტესტში ნათქვამია, რომ მთელი კულტურული ქვეყანა მოვალეა წინააღმდეგობა გაუწიოს ომის გამო შექმნილ გაჭირვებით გამოწვეულ ბავშვთა სიკვდილის გაძლიერებას. გერმანიამ დაბეჯითებით სთხოვა კომისიას ნება მისცეს მას საფრანგეთში და ბელგიაში სხვა ქვეყნებიდან შეზიდულ ძროხებში ფული გადაიხადოს, 160 ძროხა უკვე მოიყვანეს ამერიკიდან საფრანგეთში.

**ბოლშევიკური ცნობები.**

**მოსკოვი**, ნოემბრის 4. გატჩინოს აღების გამო „პრავდა“ აღნიშნავს ჩვენი ჯარის მთელ ფრონტზე შეტევაზე გადასვლას. თუმცა გამარჯვება იაფი არ გვიჯდება, ზურგი სუსტდება, მაგრამ მაინც უნდა ვთქვათ: „წინ ამხანაგებო, შეუდრეკელად“.

**სარატოვი**, ოქტ. 31. ცარიცინში განუწყვეტელი ძარცვა-გლეჯა და თავდასხმაა. გაძარცულია აფთიაქები, სადაც სპირტს ეძებდენ. პროფეს. კავშირები გარეკეს, დაბა-სოფლები საშინლად გაძარცვეს; გაირეკეს საქონელი და გაიტაცეს ინვენტარი და პური. თეთრ-გვარდიელთა გაზ. „კურიერ პოლსკი“ იუწყება, რომ კიევის გენ. გუბერნატორს გენ. ბრედოვს ქუჩაში ეკიპაჟში ყუმბარა ესროლეს. გენ. ბრედოვი მძიმედ დაიჭრა.

**ნაუენი**, ნოემბრ. 2. სკანდინავიის მეზღვაურთა ყრილობამ გადასწყვიტა ეთხოვოს დანიის, შვეციის და ნორვეგიის მთავრობებს, რომ ისინი ეცადნენ მოკავშირეებს ბლოკადა შეაწყვეტინონ.

იუდენიჩის მთავრობამ სტოკჰოლმში 200 მილ. მან. ქაღალდის ფულის დაბეჭდვა შეუკვეთა.

**მოსკოვი**. ნოემბ. 4. სამხედრო ცნობა ფინეთის ყურეში და გატჩინოს მიმართულებით ჩვენმა ჯარმა რამოდენიმე დღის მკაცრი ბრძოლის შემდეგ იუდენიჩის არმიის წინააღმდეგობა სძლია. იუდენიჩის არმია საჩქაროთ უკან იხევს ჩვენი ჯარი გატჩინოში შევიდა. მოწინააღმდეგის დევნა გრძელდება. ლუგის რაიონში ჩვენმა ჯარმა დაიპყრო ვინდავის რკინის გზის სად. ჩოლოვო და პრეობრაჟენსკაია. ქიტკოვიცის, სტრუისკის და ტურიცკის ხაზზე გავიდა. ბორისოვისკენ რკინის გზის რაიონში ძლიერი ბრძოლაა. იგუმენსკასკენ მდ. ბერეზინას აღმოსავლეთით 10 ვერსზე ჩვენი ჯარი მკაცრად იბრძვის ვოლინის ნოვგოროდის რაიონში ჩვენ ჯარს ქალაქიდან 30 ვერ. უკან დახევინა აღმოსავლეთისაკენ. ფასტოვის ჩრდილო-დასავლეთით 20 ვერსზე ბრძოლაა. კურსკის რკინის გზის და ფატეჟის გზატკეცილის გასწვრივ მკაცრი ბრძოლები გრძელდება. აღნიშნულ ადგილების დასავლეთით ჩვენი ჯარი ბრძოლით წინ მიიწევს. ჩვენმა ჯარმა მედგარი შეტევით ლივნიდან მოწინააღმდეგე განდევნა და დასავლეთისკენ წინსვლას განაგრძობს. კასტორნისკენ ჩვენმა ცხენოსანმა ჯარმა მოწინააღმდეგე უკუ აქცია და კასტორნისკ. აღმოსავლეთით 20 ვერსზე მდებარე სოფლების ხაზზე გადავიდა. დავლის რაოდენობა ჯერ გამორკვეული არაა. ბორისოგლებსკის რაიონში ჩვენი ჯარი შეტევას განაგრძობს და პოკორინოს სამხრეთ აღმოსავლეთით 16 ვერსზე სად. პოლიანა აიღო.

ს. ფილონოვის სამხრეთით მდ. კუმილგას დასაწყისთან ჩვენმა ცხენოსანმა ჯარმა მტრის ნაწილები დაამარცხა. წამოვიყვანეთ ტყვეები და ხელთ ვიგდეთ დავლა, რომლის რაოდენობა ჯერ არაა გამორკვეული. მდ. ბუზულუკის და კუმილგის დასაწყისთა შუა ჩვენი ჯარი მდ. ხოპერზე გავიდა. ცარიცინისკენ ვოლგის მარცხენა ნაპირზე ჩვენმა ჯარმა ცარევიდან მტერი განდევნა. პეტროპავლოვსკის სამხრეთ აღმოსავლეთით ჩვენმა ჯარმა 35 ვერსით წინ წაიწია. ჩრდილოეთით ჩვენი შეტევა გრძელდება. ქ. იშიმის სამხრეთით 25 ვერსზე ლარიონსკაია ავიღეთ. ჩვენი ჯარი მდ. იშიმის მარჯვენა მხარეზე გადადის. იშიმის რკინის გზის ჩრდილოეთით ჩვენი ჯარი ქ. იშიმის ჩრდილო დასავლეთით 70 ვერსზე გადავიდა. ტობოლის რაიონში ჩვენი შეტევა ვითარდება.

---

**ვინც ყაჩაღსა და დეზერტირს ფარავს, ის ავაზაკის თანაზიარია.**

---

# ახალი ამბები

**გამოცხადებულია ყაჩაღობასა და ავაზაკობა დეზერტირობასთან ბრძოლის კვირა.**

◆ **ლეჩხუმელ კომუნისტების საქმე.** როგორც ქუთაისის ოლქის სასამართლოს პროკურორი ატყობინებს იუსტიციის სამინისტროს, ლეჩხუმელ ბოლშევიკების საქმეზე შედგენილია ბრალდების ოქმი, რომელიც გადაეცა ქუთაისის საგანგებო სასამართლოს.

◆ **დუშეთის კომუნისტების საქმე.** დუშეთის ბოლშევიკების საქმეზე შედგენილია ბრალდების ოქმი. საქმე ამ დღეებში გადაეცემა თფილისის საგანგებო სასამართლოს.

◆ **გემ „მარიას“ გაძარცვის საქმე.** გემ „მარიას“ გაძარცვის საქმეს აწარმოებს ქუთაისის ოლქის სასამართლოს საგანგებო საქმეთა გამომძიებელი დევიძე. იუსტიციის სამინისტროს განკარგულებით სამინისტროს ყოველ კვირაში უნდა მოხსენდეს საქმის გარემოება.

◆ **წყლის გამოყვანა თფილისისათვის.** თფილისის ქალაქის გამგეობა შეუდგა ნატახტარიდან და ბულაჩაურიდან წყლის გამოყვანისათვის მუშაობას. კომისია, რომელიც გაგზავნილი იყო წყლის ღირსების ქიმიურ ბაქტერიოლოგიურ გამოსარკვევად უკვე დაბრუნდა. კომისიის აზრით წყალი კარგი ღირსებისაა. დაწყებულია მუშაობა იმ ადგილების გამოსაძებნათ, სადაც უნდა გაყვანილ იქნას მილები.

◆ **ბინა საქართველოს რესპ. ომში დაჭრილ დასახიჩრებულთათვის.** თფილისის ქალაქის თვითმართველობამ დააკმაყოფილა თხოვნა საქართველოს რესპუბლიკის ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა კავშირის გამგეობისა და დაუთმო სახლი ორბელიანის ქუჩაზე, ტელეგრაფის ჩიხში არსებული, რომელიც უანდერძებია პოლკ. დიმიტრიევის ქვრივს „ინვალიდებისათვის“ და დღემდის იმყოფებოდა კავკასიის სამხედრო ოლქის განკარგულებაში დაჭრილ-დასახიჩრებულთათვის.

◆ **ტრამვაის ბილეთები.** ქალაქის თვითმართველობის საშკოლო განყოფილება სთხოვს საშუალო სასწავლებლის გამგეებს წარადგინონ მოწაფეთა რაოდენობის შესახებ ცნობები და რამდენ მოწაფეს სჭირია ბილეთი, რათა შესაძლებელი იქნეს მათთვის თანახმათ თხოვნისა, შეღავათიან ფასებში ბილეთის განაწილება.

◆ **ცნობები გადამდები სენის შესახებ.** ოქტომბრის განმავლობაში ქალაქის საავადმყოფოში გადამდებ სენიანი ავათმყოფები ყოფილა: პარტახტინი ტიფით 22—მომკვდარა 2—იმყოფება საავათმყოფოში 13—მუცლის ტიფით—59, შექცევითი ტიფით 35, ყვავილით 4—წითელათი 6, ქუნთრუშა 3, დიფტერიტით 18, ხოლერით 53, მომკვდარა 29, საავათმყოფოში არის 8, დიზინტერიით 2, ციმბირის ჭირით 2.

◆ **მევენახეთა და მეღვინეთა** კონგრესის მომწვევ საორგანიზაციო კომიტეტმა დაუგზავნა ყველა ერობებსა და ქალაქის თვითმართველობებს ბარათები, გამოგზავნონ თავისი რწმუნებულები კონგრესზე დასასწრებლად, რომელიც მოხდება 23 ნოემბერს.

◆ **კომისარ კვესაძის საქმე.** დღეს თფილისის საგანგებო სასამართლოში დაიწყება კომისარ კვესაძის საქმის გარჩევა, მას ბრალათ ედება ქრთამების აღება.

◆ **ლექცია.** კვირას, ნოემბრის 9-ს პროფესორი ს. ავალიანი ახალი კლუბის დარბაზში წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: „საქართველოს ეკონომიური მდგომარეობა და მისი მომავალი“. ლექცია დაიწყება დილის 10 ს.

◆ **მორიგეობა** იუსტიციის დეპარ-

---

# სიმბოლიზმი ქართულ ლიტერატურაში

(დასასრული)

III

როგორია ვაჟას პოეზია და რისთვის არ შეიძლება მისი სიმბოლისტად გამოცხადება?

პროფესორ ალ. ხახანაშვილის აზრით ვაჟას შემოქმედება შეიძლება სამ ნაწილად დავყოთ. „პირველია ეთნოგრაფიული წერილები, ანუ ზნე ჩვეულებათა (ფშაველების) აღწერა და საბელეტრისტო ნაწერები; მეორეა ლექსები და პოემები, მესამეა პოეტური პროზა“. ჩვენ აქ არ შეგვიძლია ვაჟა ფშაველას მთელი შემოქმედების დაწვრილებით განხილვა—ეს არ შედის წერილის გეგმაში,—ჩვენ მხოლოდ ზოგადად შევეხებით მგოსნის ლექსებს, პოემებს და პოეტურ პროზას. დავიწყოთ უკანასკნელიდან.

ვაჟას პროზაულ ნაწერებიდან საყურადღებოა: „შვლის ნუკრის ნაამბობი“, „ჩხიკვთა ქორწილი“, „მთანი მაღალნი“, „მთის წყარო“, „ხმელი წიფელი“, „ფესვები“ და სხვ. ყველა ეს ნაწერები ისეთ მომხიბლავ რაიმეს წარმოადგენს, რომ არ შეიძლება არ დაატყვევოს ადამიანის სული და გული. ამოწერილი სათაურების მიხედვით პირველად ასე გეგონებათ, რომ საბავშვო მოთხრობებთან გაქვთ საქმე, სადაც ბლომადაა გაფანტული ცნობები ზოოლოგიიდან, ბოტანიკიდან და სხვ., მაგრამ პირველი სტრიქონის წაკითხვისთანავე რწმუნდებით, რომ ხელოვანი მგოსანი სხვა რამ მშვენიერებას გაწვდისთ. მართლაც, რა არის „შვლის ნუკრის ნაამბობი“, თუ არა უბრალოდ და პოეტურად აკინძული მშვენიერების მარგალიტები—მარგალიტები წრფელის გრძნობისა და პოეტურის სურათებისა. კითხულობ ამ ნაწარმოებს და ასე გგონია, რომ შენს წინაშე დგას დაობლებული, საწყალი, ნარნარი ბავშვი, რომლის ყოველი სიტყვა და მოძრაობა გულის სიღრმეში გხვდება: გებრალება იგი, თანაუგრძნობ, ხარობ მისი სიხარულით, სტირი მისი ცრემლებით. ჩაიკითხავთ მთელ მოთხრობას და რაღაც უდრეს სიტკბოებას და სათნოებას გრძნობთ, ხედავთ, რომ ხელოვანის კალამმა გაგაცნოთ სრულიად უცნობი სულიერი ქვეყანა შვლის ნუკრისა, რომელიც თურმე ჩვენსავით გრძნობს და ფიქრობს. შეიძლება ეს ასეც არ იყოს და შველს არაფრის ლაპარაკიც კი არ შეეძლოს, მაგრამ პოეტმა ისეთი ილიუზია მოახდინა, ისეთის გზით მიგაახლოვათ ამ საცოდავ არსებას, რომ თქვენ სრულებითაც კი არ გრძნობთ თქვენი გრძნობის სიყალბეს და მზადა ხართ დაიფიცოთ, რომ ნუკრი სწორედ ისე ლაპარაკობს და გრძნობს, როგორც ეს ვაჟამ გვიჩვენა. შენ უკვე დაუნათესავდი შველს, შენსა და მის შუა უხილავი ძაფები გაიბა, შენ და ეს პირუტყვი ერთ და იმავე ცხოვრების მონაწილენი ხართ, შენი სიცოცხლე მისას შეუკავშირდა და მისი კიდევ შენ. თქვენ ერთმანეთის „სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი ხართ“.

ამნაირათვე გვაცნობს და გვანათესავებს ჯადოსანი მგოსანი „მთის წყაროს“, „ხმელ წიფელს“, „ფესვებს“, „ქუჩს“, ფრინველებს, თაგვებს და სხ. ყველა ეს სულიერი თუ უსულო საგნები ვაჟას სურათებზე ადამიანებივით ლაპარაკობენ, გრძნობენ და მოქმედობენ. მასთან ისე მომხიბლველად და ორიგინალურად, რომ ერთის წუთითაც კი ვერ იგრძნობთ რაიმე სიმშრალეს, მეცნიერულ სიცივეს და მომაწყენელ, ყველასათვის მისაწვდომ შაბლონს. გინახავს ფესვებიც, ნუკრიც, წიფელიც, მაგრამ არასოდეს არ შეხებიხარ მათ იმ სახითაც, როგორათაც ეს ვაჟამ მოიმოქმედა და მიზანსაც მიაღწია: გააფართოვა ჩვენი შეხედულება ბუნებაზე, ყველგან სიცოცხლე და გრძნობა გვაჩვენა, ყველაფერს დაგვიახლოვა და დაგვანათესავა, ყველა საგანში და არსში აღმოაჩინა ჩვენი—ადამიანის—ნაწილი და პირიქით. ვაჟა გვარწმუნებს:

„რაც კი რამ დაუბადნია
უფალს სულიერ-უსულო,
ყველასა თურმე ენა აქვს,
არა ყოფილა ურჯულო!“

ვაჟა პანტეისტია (პან—ყველაფერი; ტეისტი—გაღმერთება; პანტეისტი—ყველაფრის გამღმერთებელი, ყველგან სულის, სიცოცხლის მნახველი), ის გრძნობს, რომ

„ხევი მთას მონებს, მთა ხევსა
წყალნი—ტყეს, ტყენი მდინარეთ,
ყვავილნი მიწას—და მიწა—
თავის აღზრდილთა მცენარეთ
და მეც ხომ მათი მონა ვარ
პირზე ხვითქ ჩამომდინარეთ.“

ერთი სიტყვით, ადამიანსა და ბუნების შუა ნათესაური კავშირია, ბუნების ყოველი შვილი სულიერი თუ უსულო ადამიანში გადადის, ადამიანის ცხოვრებაც თავის წილ განუყრელათაა ბუნებასთან შედუღებული. თუ ადამიანმა მოიწადინა ამ კავშირის დარღვევა, ის ამით თავის თავს ღალატობს და გველის მჭამელ მინდიასავით იღუპება.

როცა ზემო დასახელებულ ნაწერებს ეცნობით, თქვენ ვერსად ვერ ხედავთ რაიმე იდუმალ და შეუცნობელ ძალას ბუნებაში; არაფრის წინაშე არ თრთის ვაჟა-ფშაველა, არაფრის არ ეშინია, ის თამამად სწევს ყველგან და ყოველთვის ბუნების ფარდას და სრულიად მშვიდად, სრულის რწმენით, იმედით და სიყვარულით სავსე ღიმილით გვეუბნება—ბუნება ასეთი და ასეთია, მას ენა აქვს, გრძნობსო და სხვ. სად არის აქ ბედის წერის წინაშე შიში, კრძალვა, ცახცახი, რაც ასე ახასიათებსს სიმბოლიზმს. ნეტავ ერთის წუთით მაინც თუ მოგეჩვენათ ვაჟას კითხვის დროს თქვენი თავი დამარცხებულად, უძლურად, უმნიშვნელო მღლად და გაცამტვერებულად. თუ იგრძენით ადამიანის უძლურება ბუნების ძალთა წინაშე, თუ ჩაქინდრეთ თავი და სასოწარკვეთით სთქვით: ჩემი სიცოცხლე ჩემს ხელთ არაა, მე ბედის მონა ვარ, ველი მისს განგებასო? არა, თქვენ ვერასოდეს ვერ იგრძნობთ ამ გვარ რაიმეს ვაჟა-ფშაველას კითხვის დროს. პირიქით, მგოსანი გამაღლებს თქვენ, ამაყად გაკითხებთ ბუნების წიგნს, მიგაქანებს მაღალ მთებთან, შეხარის შენს აზროვნებას, იმედს გიღვიძებს, რომ შენდა საბედნიეროთ ბუნებას შეიცნობ და ბედნიერიც გახდები. სტკბები ვაჟას ნაწერების კითხვით და თანაც გებულობ, რომ ბუნება

„ერთფერად მტვირთველი არის
საქმის თეთრის და შავისა,
ბუნება ბრძანებელია,
იგივ მონაა თავისა,
ზოგჯერ სიკეთეს იხვეჭავს,
ზოგჯერ მქნელია ავისა,
მაინც კი ლამაზი არის,
მაინც სიტურფით ყვავისა“.

მე არ ვიცი ასეთი ნათელი, იმედიანი, სრულიად უშიშარი და ყოველგვარ მისტიციზმისაგან თავისუფალი შემოქმედების შემდეგ როგორ შეიძლება ვაჟა-ფშაველას სიმბოლისტად გამოცხადება. ცხადია, რომ აქ კიტა აბაშიძემ ერთმანეთში აურია პანტეიზმი და სიმბოლიზმი. ისიც სასაცილო აზრია, თითქოს ხმელი წიფელი საქართველო იყოს, როგორც ეს გონია კიტა აბაშიძეს.

ზემო თქმულის შემდეგ ილიასა და აკაკის სიმბოლისტობა ხომ სულ მოჭორულად მოგეჩვენებათ და ის არის. მაგრამ ყველაზე უფრო კურიოზული დ. კლდიაშვილის ნაწერებში სიმბოლიზმის კვალის დანახვაა*). ალბად ჯაბრიკა ცხენით მოჩიჩიქე სოლომონ მორბელაძე რუსეთის სიმბოლოდ თუ ეხატებოდა კიტა აბაშიძეს და ჯაბრიკა ცხენათ კიდევ საქართველო!

IV.

ჩვენის შეხედულებით სიმბოლისტურ ნაწარმოებად ქართულ ლიტერატურაში უნდა ჩაითვალოს ჩვენი ნიჭიერი დრამატურგის ბ. ტრიფონ რამიშვილის „საბედისწერო დამბაჩა“, რომელიც დაწერილია ამ ათას წლის წინეთ. და ჩვენს მწერლობაში შემთხვევით მოვლენას წარმოადგენს. ამ დრამის შინაარსი მოკლეთ ასეთია: თავად ელეფთერის გვარს ჰქონია ერთი საბედისწერო დამბაჩა, რომლითაც რაღაც სენის გამო თავი მოუკლავს ამ გვარიდან რამდენიმე კაცს. ელეფთერს ყავს შვილი რეზიკო, რომელიც საგვარეულო ავადმყოფობითაა შეპყრობილი და დარწმუნებულია, რომ ისიც სხვებივით ამ წყეული დამბაჩით გამოესალმება წუთისოფელს. რეზიკო ექიმია, მაშასადამე კარგად იცის ბუნების მეტყველება და საზოგადოდ ბუნება, მაგრამ ის იმდენად დაუმონებია ამ გაურკვეველ და არსებითად ცრუ რწმენაზე აგებულ შიშს, რომ ყოველგვარ რეალობას უარყოფს და ქედს იხრის რაღაც შეუცნობელი ძალის წინაშე, ემონება ბედის წერას. დამბაჩა უბრალო იარაღია, შეუცნობელი რამ ძალა მასში არ არსებობს, მაგრამ რეზიკოს და ყველა მისიანებს მაინც ეშინიათ მისი და მარტო ამ იარაღის ხსენებაც კი თავზარსა სცემთ. ვაჟა-ფშაველას რომ ელაპარაკებია ეს დამბაჩა თავისებურათ, იცოცხლეთ ის გაცანებდათ და დაგატკბობდათ მისი ნაამბობით, შიშს კი არა, სიყვარულსაც კი გაგრძნობინებდათ ამ ფეოდალური საქართველოს დამამშვენებელ იარაღისადმი. მაგრამ სულ სხვაფერი გრძობა გააღვიძა თქვენში მისტიურად განწყობილმა ავტორმა და რაღაც საშინელება გაგრძნობინათ, ადამიანის გარეშე მყოფი და თითქოს მისი სიცოცხლის მამოძრავებელი ძალის ანუ ბედისწერის წინაშე ერთიანად აგათრთოლა და შეგაშინათ. თქვენ შეგიძლიათ არ დაეთანხმოთ ბ. რამიშვილის დრამის იდეას, მაგრამ დრამის წარმოდგენის დროს, რომ რაღაც საშინელებას იგრძნობთ და ბედისწერის წინაშე უძლურად და შიშით ათრთოლდებით, ეს უეჭველია. ასეთია ჩვენი სცენის მიერ უსამართლოდ მივიწყებულ ნიჭიერად დაწერილ დრამის დედა აზრი და ვისაც უნდა წარმოდგენა იქონიოს სიმბოლიზმზე, ეს ნაწარმოები უნდა წაიკითხოს.

ასეთივეა იმ დრამების შინაარსი, რომლის შესახებ თითონ მეტერლინკის სიტყვებიდან გავიგეთ, რომ მათი შექმნის დროს მწერალი უსასოოდ თრთოდა ბუნების შეუცნობელ ძალთა წინაშე და თავზარდაცემული ეძლეოდა პასიობას. მეტერლინკის ერთი პიესა „დაუპატიჟებელი“—ასეთ შინაარსზეა აგებული: ძველებური კოშკის ერთ ოთახში სული ხდება ყმაწვილს, რომლის ნათესაობა თავზარდაცემულია. გარდაიცვლება თუ არა ბავშვი, შემოვა თუ არა კოშკში „დაუპატიჟებელი“ სტუმარი სიკვდილი? ექიმები ამბობენ—სნეულს არა უშავს, კარგად ეძინა და თავსაც კარგადა გრძნობსო. ასეთია დრამის რეალური მხარე, ისე, როგორც „საბედისწერო დამბაჩისა“. მაგრამ აქ მოქმედებს მეორე დრამა, დრამა შინაგანი რწმენისა, დრამა ციურ ძალთაგან მონაბერი: მშობლები დარწმუნებულნი არიან, რომ ბავშვი აუცილებლივ მოკვდება და ეს მართლაც მოხდა,—შინაგანმა გამოუცნობელმა რწმენამ გაიმარჯვა გარეგნულ შესახედაობაზე, რეალური ქვეყანა სძლია ირრეალურმა. ასეთნაირად ხდება რამიშვილის პიესაშიაც: რეზიკო თრთის უბრალო იარაღის წინაშე და ბოლოს თავსაც იკლავს. ადამიანის ბედი აქაც მიუწვდომელმა და საშიშარმა ძალამ გადასწყვიტა.

ვერაფერ ამის მაგვარს ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში ვერ აღმოაჩენთ და გიკვირთ კიტა აბაშიძის მიერ მისი სიმბოლისტად მონათვლა.

ეს ლიტერატურული მიმდინარეობა—სიმბოლიზმი ვაჟკაცობაზე გადაშორებულ და სიბერის მგრძნობ ევროპის ბურჟუაზიის ფილოსოფიაა და არ შეიძლებოდა ჩვენში ვაჟას დროს წარმოშობილიყო. ბრიუნეტერ—აბაშიძის ევოლიუციონური მეთოდის სიყალბე აქ აშკარაზე აშკარაა. ლიტერატურული მიმართულება და ფორმა საკუთარის შინაგანის ძალით კი არ იცვლება, არამედ ცხოვრებას მოაქვს იგი. ყველა ეპოქას თავის ლიტერატურული ფორმა სდევს.

„საბედისწერო დამბაჩა“ საიდან წარმოიშვა, ეს დრამა ხომ ბურჟუაზიულ წრეში არ ინასკვებაო, იკითხავს მკითხველი. რამიშვილმა ამ დრამას, რომელიც მწერლის შემოქმედებაში შემთხვევითია, კარგი ქარგა მოუნახა—თავადებ შორის დატრიალდა, იმ თავადების, რომელნიც ბურჟუაზიასავით გადაშენების გზაზე არიან შემდგარნი და ფეხქვეშ ნიადაგ შერყეულნი, პსიქოლოგიურ სფეროში წონასწორობა დაკარგულნი, თავს ვერ ართმევენ ცხოვრების კანონს, ვერ შეუგნიათ მისი მსვლელობა და ლაჩრულად იღუპებიან ბედისწერის სამსხვერპლოზე განწირულ ფარვანასავით ვარდებიან ლამეში ანთებული სანთლის ალში.

დასასრულ მინდა შევეკითხო ჩვენს ახლად მოვლენილ სიმბოლისტებს—რობაქიძე და კომ.—კიდევ იტყვიან, რომ პირველად მათ შემოიტანეს ჩვენში სიმბოლიზმი?

**ვარლამ ხუროძე.**

*) ეტიუდები, ტ. II, გვ. 193.

# დეზერტირობა და ყაჩაღობა თავისუფლების დამღუპველია

**ბრძოლა მათთან სასტიკი და დაუნდობელი. არც ერთი ავაზაკი, არც ერთი დეზერტირი არ უნდა დარჩეს სამართალში მიუცემელი.**

...ტამენტის დირექტორის განკარგულებით ნოემბრის 5 დან შემოღებულია ...მივი მორიგეობა თფილისის სასა...ლო უწყების დაწესებულებათა ში. მორიგეობა სწარმოებს ტელეფონთან ყოველდღე გარდა კვირა უქმი... ნაშუადღევის 3—9 საათამდე. ხოლო კვირა უქმობით დილის 10 საათიდან 9 საათამდე. ტელეფონის ნომერი 1—03.

— **შუამდგომლობა** ქართველ მწერალთა საბჭომ შუამდგომლობა აღძრა ...ქის თვითმართველობის წინაშე, ...ა ნება დაერთო ამდ. კლუბებში თამაშის სასარგებლოთ ლოტოს მოწყობისა, როგორც დღემდის ხდებოდა ქარ...ტარიის სასარგებლოთ. რადგან ასეთი თხოვნა აქვს შეტანილი კიდევ საქველმოქმედო საზოგადოებას, თვითმართველობამ მწერალთა კავშირის თხოვნა ...ჯერობით გადასდო.

— **ახალი წიგნები.** ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ...დავს და მოკლე დროში გასაყიდათ ...ვა შემდეგი წიგნები, რომელნიც ...ზარზე აღარ მოიპოვება: 1) „კაცია ადამიანი"? ი. ჭავჭავაძისა, 2) მისივე, „...ხის ნაამბობი", 3) „ს. მეჯლანუაშვილი" ლ. არდაზიანისა, 4) შ. არაგვისპირელის მოთხრობები—1 წიგნი, 5) მისივე მე-2 წიგნი, 6) მისივე მე-4 წიგნი, 7) „ინგლისის მოკლე ისტორია", ახლად შედგენილი გ. ნათაძის მიერ.

— **დახმარება.** სომეხთა ეროვნულმა საბჭომ საქართველოში—ათი ათასი მანეთი გადასდო სახალხო სახლში წარმოდგენების მმართველ სომხურ სექციის სასარგებლოდ.

— იმავე საბჭომ ათი ათასი მანეთის დახმარება აღმოუჩინა შულავერის და ...ის სომხურ სკოლებს.

— **დანიშვნა.** თფილისის ოლქის სასამართლოს საგანგებო საქმეთა გამომძიებლად დაინიშნა ე. დილევსკი.

— **პირდაპირი მატარებელი.** განზრახულია ამ დღეებში მოეწყოს მატარებლის პირდაპირი მიმოსვლა თფილისიდან—ერევნამდე.

— **სიღნაღის სამაზრო ერობა** იწვევს მასწავლებლებს სოფლის სკოლებისა...—ჯამაგირი 1500 მან. სახლი, შეშა და მოსამსახური. მსურველთ შეუძლიათ მიმართონ დეპეშით ან პირადათ სიღნაღის სამაზრო ერობის გამგეობას.

**ქრონიკა.**

დღეს, „ნაკადულის" რედაქციაში დანიშნულია მწერალთა კავშირის მორიგი სხდომა. ვთხოვთ წევრებს დაესწრონ.

— დღეს, საღამოს 3 საათზე, სადგურ ნავთლუღ-კახეთში დანიშნულია კახეთის რკინის გზის მუშა მოსამსახურეთა საერთო კრება, სადაც მოხსენებას გააკეთებს გ. ბახტაძე მიმდინარე მომენტზე.

— ხვალ, პარასკევს, საადგილ მამულო ბანკის შენობაში დანიშნულია ხელოვნების ცენტრის არაჩვეულებრივი სხდომა.

— დღეს, საღამოს 6 საათზე, შესდგება სხდომა ს. ს. დ. მ. პ. მესამე რაიონის კოლექტივისა. (კახეთის ქ. № 1)

— დღეს, საღამოს 6 საათზე, ბიურის ბინაზე შესდგება საქართველოს ს. დ. მ. პ. მეორე რაიონული კოლექტივის წევრთა ჩვეულებრივი კრება.

— დღეს, სად. სრულ 6 საათზე, დანიშნულია ს. ს. დ. მ. პ. თფ. ორგ. მეორე რაიონის პარტიის წევრთა 31 ოქტომბრის საზოგადო კრების გაგრძელება. კოლექტივის წევრთ ევალებათ შეიკრიბონ სრულ 5 საათზე, მორიგი სხდომისთვის. კრებაზე ყველა პარტიის წევრთა დასწრება სავალდებულოა.

— დღეს, სად. 5 საათზ, პირველი რაიონის ახალგაზრდა მარქსისტთა წრის კრება.

— დღეს, საღამოს 5 საათზე, ბიუროს ბინაზე დანიშნულია ს. ს. დ. მ. პ. მე 6 რაიონული კოლექტივის წევრთა მორიგი სხდომა.

— დღეს, საღამოს 5 საათზე, ვერის მუშათა კლუბში (ოლღას ქუჩა № 29) დანიშნულია ფოსტა ტელეგრაფის და ტელეფონის სოც.-დემ. მოსამსახურეთა საზოგადო კრება. მოხსენებას გააკეთებს ამ. გრ. ლორთქიფანიძე.

— დღეს, საღამოს 4 საათზე, მე-6 რაიონის ახალგაზრდა მარქსისტთა საზოგადო კრებაა საორგანიზაციო საკითხების გასარჩევად.

**პროვინციის ქრონიკა.**

...აგარეჯოში 4 ოქტომბერს, დატყვევებულ იქნენ კომუნისტთა პროპაგანდისტები: ერთი ქართველი და ორი ...ი. ერთი დენიკინელია, ერთი წინათ ...არმიელი. ერთად იწეოდენ აგი...ციას.

---

**ყაჩაღი და დეზერტირი მტერია ხალხის უფლების და დემოკრატიის.**

## კულტურული მუშაობა გვარდიაში

4 ნოემბერს გაგრის ფრონტიდან ახლად ჩამოსულ სახალხო გვარდიის საგანგებო ბათალიონში შესდგა ამხ. ქ. კვერნაძის თავმჯდომარეობით დამფუძნებელი კრება გვარდიაში კულტურულ-განმანათლებელ მუშაობის განახლებისათვის.

კრებამ აირჩია შვიდი კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც დაევალა მოაწყოს ბათალიონში: ლექციების კითხვა, წერა კითხვის სწავლება, წიგნთსაცავ სამკითხველო და სხვ. საჭირო სახსრისათვის იმავე კომისიას დაევალა მოამზადოს და ქალაქის ერთ ერთ თეატრში გამართოს წარმოდგენა.

საჭიროა ამ ფრიად სიმპატიურ საქმეს ყურადღებით მოეპყრას თვითმთავარი შტაბი სახ. გვარდიისა და ყველა კულტურული ორგანიზაციები. ვისაც კი აინტერესებს, ჩვენი ნორჩი რესპუბლიკის მედგარი დამცველის—გვარდიის იდეიური აღზრდა.

ა. ჭუმბაძე.

---

**ვინც ყაჩაღსა და დეზერტირს არ ებრძვის, ის არ არის მოქალაქის სახელის ღირსი.**

## ერობების ცხოვრება

**ოზურგეთის მაზრის ერობა.**

ერობის გამგეობამ აღძრა შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რათა მიეცეს მას 3 ნახ. მილიონი მანეთი, ხე-ტყის ექსპლოატაციის საწარმოებლათ. მთავრობისაგან პრინციპიალური თანხმობა მიღებულია. ერობას განზრახული აქვს მოაწყოს ხე-ტყის ქარხანა და სადურგლო სახელოსნოები.

**შორაპნის მაზრის ერობა**

ერობის გამგეობამ აღძრა შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რათა აიკრძალოს შორაპნის მაზრიდან ყოველგვარი სურსათ-სანოვაგის გაზიდვა. გამგეობა თავისი თხოვნას მით ასაბუთებს, რომ მაზრაში წელს მოუსავალობა იყო და მოსალოდნელია შიმშილობა. გამგეობა სთხოვს ერობათა კავშირის მთავარ კომიტეტს მხარი დაუჭიროს მათ შუამდგომლობას.

**გორის მაზრის ერობა.**

ანალოგიური შუამდგომლობა აღძრა გორის მაზრის ერობამ. უკანასკნელი ასაბუთებს თავისი მოთხოვნილებას შემდეგი მოსაზრებით. გორის მაზრაში დღეს მრავალი სპეკულიანტები დათარეშობენ, რომელნიც საზოგადოებრივი ან უცხოელი დაწესებულებებს ამოფარებიან, როგორიც არის მაგ. ამერიკის დამხმარე კომიტეტი და სხ. მათი საშუალებით აზიდვენ სურსათის გაზიდვას რესპუბლიკის საზღვრებიდან.

— იმავე ერობის გამგეობა სთხოვს ერობათა კავშირს დაუჭიროს მხარი მთავრობის წინაშე, რათა იმ ღალიდან, რომელიც იკრიფება სახელმწიფო ან საფონდო მიწებიდან, დაეთმოს განსაზღვრული ნაწილი შეღავათიან ფასებში მოსამსახურეებს ერობის დაწესებულებებში: მილიციას, მასწავლებლებს და სხ.

**ზუგდიდის მაზრის ერობა.**

ამას წინეთ მოხდა მაზრის ხმოსანთა ყრილობა, სადაც გამოირკვა, რომ არსებული ხმოსანთა კრების შემადგენლობა არ არის სრულიად დამაკმაყოფილებელი, ის მოკლებულია საქმიანობის უნარს და პოლიტიკური ინტრიგების ბუდეთ არის გადაქცეული. ამ გარემოებამ აიძულა სოც. დემ. ნაწილი ხმოსნებისა შეეტანათ წინადადება რომ ხმოსანთა ყრილობას აღეძრა შუამდგომლობა ერობათა ხელ-ახალი არჩევნების მოხდენისა. ეს წინადადება ხმოსანთა ყრილობამ მიიღო.

**ახალი რკინის გზა.**

სენაკის სამაზრო ერობის გამგეობის თავმჯდომარე მალანია და ზუგდიდის შენგელაია ულოცავენ ერობათა კავშირის მთავარ კომიტეტს სამგზავრო-საბარგო მიმოსვლის გახსნას სად. ახალსენაკიდან სად. ხეთამდი შავი ზღვის რკ. გზის ხაზზე და იმედს გამოსთქვამენ ერობების უახლოესი მონაწილეობით რესპუბლიკის სხვა მხარეებშიც მოეწყობა მიმოსვლა.

---

**დეზერტირობა ყაჩაღობას და ავაზაკობას აძლიერებს. დეზერტირები ყაჩაღთა რეზერვია.**

## რუსეთში

**რიაბოვოლის მკვლელების საქმე.**

დონის სამხედრო სასამართლოში გაირჩა ყუბანის რადის თავმჯდომარის ნ. ს რიაბოვოლის მკვლელობის საქმე. პასუხისგებაში იყო მიცემული „პალასოველი" კომისიონერი ანდრია კოვრიჟკი, რომელსაც ბრალდებოდა მკვლელების ხელის შეწყობა. კოვრიაჟკი გაამართლეს. („ზნ. ტრ.").

---

**დეზერტირი მოღალატეა, დეზერტირის და ყაჩაღის შემნახველი იუდის თანაზიარია.**

## უცხოეთი

**ინგლის-ავღანისტანის ხელშეკრულება.**

ინგლისმა ხელშეკრულება დასდო ავღანისტანთან; თანახმად ამ ხელშეკრულებისა ავღანისტანში აკრძალულია საომარი იარაღის შეზიდვა ინდოსტანიდან. სადავო საკითხების მშვიდობიან გზით გადაწყვეტისათვის ინგლისში გაიგზავნება სპეციალური კომისია, რომელიც შეეცდება დაამყაროს ორივე მხრით კეთილ-მეზობლური დამოკიდებულება. ავღანისტანის მთავრობა სცნობს ინდოეთთან, ომამდე არსებულ საზღვრებს. ავღანისტანის მთავრობა სცნობს ინგლისის უფლებას გამიჯნოს ტერიტორია ჰაიბარდის ყურეს დასავლეთით და თავის მხრივ ყოველივე დახმარებას აძლევს კომისიას, რომელიც ამ საქმეზე იმუშავებს. კომისიის მიერ დადებული საზღვრები სავალდებულოა ავღანისტანისთვის.

---

**შიშდი ლაჩარს დეზერტირს, ხალხის რისხვა და კრულვა მუხანათ ყაჩაღს!**

## სენატში

საქართველოს სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის განყოფილების საკრებულოს სხდომაში 10 ნოემბერს დილის 10 საათზე, დანიშნულია განსახილველად შემდეგი საქმეები:

1. საკასაციო საჩივარი ქალაქ თფილისის გამგეობისა თფილისის სასამართლო პალატის 21/22 სექტემბერს 1917 წ. დადგენილ გადაწყვეტილებაზე ქალაქის თფილისის გამგეობის ნიკიტა არტემის ძე ბდამოვთან 14900 მან. ძიების გამო.

2. საკასაციო საჩივარი სამხედრო უწყებისა თფილისის სასამართლო პალატის 31 ოქტომბერს 7 ნოემბერს 1917 წ. დადგენილ გადაწყვეტილებაზე ქალაქ ფოთის გამგეობის კავკასიის სამხედრო ოლქის ბინათა მომარაგების სამმართველოსთან მამულზე საკუთრების უფლების აღიარების თაობაზე ძიების გამო.

3. საკასაციო საჩივარი ქალაქ თფილისის გამგეობისა თფილისის სასამართლო პალატის 12 ოქტომბერს 1917 წ. დადგენილ გადაწყვეტილებაზე თფილისის ქალაქის გამგეობის თფილისის სამხედრო საინჟინერო დისტანციასთან მამულის საკუთრების უფლებაზე ძიების გამო.

4. საკასაციო საჩივარი ალექსანდრე ლაზარის მისმილოვისა თფილისის სასამართლო პალატის 22 სექტემბერს, 2 ოქტომბერს 1917 წ. დადგენილ გადაწყვეტილებაზე მარიამ იოსების ასულის მილოვისას კასატორთან სარჩოს 48,800 მან. მიცემის თაობაზე ძიების გამო.

5. საკასაციო საჩივარი არაქელ ტერ აირაპეტიანცისა და არტემა მაიმინდისა თფილისის სასამართლო პალატის ივლისის 11 1918 წ. დადგენილ გადაწყვეტილებაზე ეფიმი აბრამის ძის ვოლფენზონის სიმონ მაიშინდთან და არაქელ ტერ არაპეტიანცთან 18,125 მან. ძიების გამო.

6 საკასაციო საჩივარი თფილისის ქალაქის გამგეობისა თფილისის სასამართლო პალატის 14 დეკემბერს 1917 წ. დადგენილ გადაწყვეტილებაზე საბინა ოსოვსკისას კასატორთან 3,000 მან. თაობაზე ძიების გამო.

---

**ულმობელი და შეუბრალებელი ბრძოლა ყაჩაღთა წინააღმდეგ. სასტიკი ომი დეზერტირობას!**

## მუშათა წერილები

**საუბარი გლეხებთან.**

(დასასრული.)

ამ კაცობრიობის დამღუპველმა ომმა შეიწირა საუკეთესო ჩვენი ახალგაზრდობა, ჩვენი გლეხკაცობისა და ქალაქის მუშათა რჩეულნი შვილები. რამდენი დაიხოცა, რამდენი უგზო უკვლოთ დაიკარგა, რამდენი დაჭრილ დასახიჩრებული, შრომის უნარი მოაკლდა და ქვეყნის სამოწყალოდ გადიქცა. რამდენი მუშათა ოფლით აგებული ციხე ქალაქები გაანადგურეს, რამდენი სოფლები ცეცხლს მისცეს, რამდენი ჩვენისთანა ქვეყნები ააოხრეს და იქ მცხოვრები ხალხი უსახლკაროთ, მშიერ მწყურვალი, ცის ქვეშე, ღვთის ანაბარათ დაყარეს. რამდენი სურსათ-სანოვაგით დატვირთული ხომალდები ჩაღუპეს ზღვის უფსკრულებში, მშრომელი ხალხის მაღლიანის მარჯვენით აშენებული, ქვეყანა ნახევრად გაატიალეს და მიწასთან გაასწორეს.

თქვენ ალბათ ისიც წარმოდგენილი გაქვთ, თუ რამდენი ზარალი მოუტანა ომმა საერთო წარმოებას, როცა აუარებელი მუშა ხელი მოსწყვიტეს ფაბრიკა-ზავოდებს, მოსწყვიტეს თავიანთ ყანა ბოსტანს და ბრძოლის ველზე გარეკეს. რა თქმა უნდა, ამ გარემოებამ გამოიწვია სოფლად პირნახულის შემცირება და ქალაქებში კიდევ სხვა და სხვა საქონლის გაქრობა. 5 წლის განმავლობაში ქვეყანა შეკრული იყო და არავითარ საქონლის ნაწარმოებს ჩვენსკენ არ აპაპანებდნენ. აი, ამ მიზეზებით გახლავს დღეს შექმნილი უსასტიკესი კრიზისი, საქონლის გამოლევა, რამაც ყველგან გამოიწვია გამოუთქმელი სიძვირე და სიძნელე ცხოვრებისა.

თქვენთვის ეხლა ნათელი სურათი სჩანს ჩემ მიერ ნაამბობიდან, თუ საიდან გამომდინარეობს ყველა ის ნაკლი, რაც დღევანდელ აბობოქრებულ ცხოვრებას თან ახლავს ცხოვრების სიძვირე, სპეკულიანტების თავ აშვებულობა და სხვა ბოროტმოქმედება წარმოსდგა ხანგრძლივ ომიანობისა და მისგან დაშლილ დაავადმყოფებულ ცხოვრებისაგან.

მასთან ნუ დაგავიწყდებათ, რომ ხან გრძლივმა ომმა და მისგან დარღვეულმა ცხოვრების ღრმა ნივთიერმა პირობებმა წარმოშვეს: რუსეთის, გერმანიის და ავსტრო-უნგრეთის რევოლიუციებიც, იქაც ისე, როგორც მართვა გამგეობის სადავე ჩვენში, ხალხმა ჩაიგდო ხელში და ჩვენი ვალია კვალ და კვალ მივყვეთ მოწინავე სახელმწიფოთა დემოკრატიის მაგალითს.

დღევანდელ ცხოვრების გაჯანსაღება ასე უცბათ, ასე ერთი ხელის მოსმით შეუძლებელია სახელმწიფოს გარდაქმნას—ხანგრძლივი დრო და თავდადებული მოღვაწეობა ესაჭიროება. ჩვენმა ხალხმა და მის მიერ არჩეულმა მთავრობამ, დღემდე, ყველაზედ უკეთ შესძლო ამ მძიმე პირობების გადატანა. ჩვენ მოვიწვიეთ. ჩვენი მშრომელი ხალხისთვის სანატრელი და მისგანვე ნდობით არჩეული დამფუძნებელი კრება, რომლის მიზანიც არის განამტკიცოს და დააფუძნოს სრული დემოკრატიული რესპუბლიკა. დამფუძნებელი კრება უკვე შეუდგა თავის ნაყოფიერ მუშაობას და ატარებს ცხოვრებაში ყველა იმ რეფორმებს, რაც ჩვენი დემოკრატიის სურვილს და ნებას გამოხატავს. და მოგიწოდებთ თქვენ, სოფლის მშრომელო ხალხო, დარაჯათ დაუდექით ცხოვრებას, თავი არიდეთ მაცდურ ენებს. გაკიცხეთ და შეაჩვენეთ ყველა ის, ვინც თაღლითობას და მოღალატეობას იჩენს, ხელი შეუწყვეთ დამფუძნებელ კრების მიერ გამოცემულ კანონების ცხოვრებაში გატარებას, შეუკავშირდით მას, ვითარცა ძმა ღვიძლ ძმას, გამოძახილი მიეცით ყოველივე მის მოწოდებას და იმედი უნდა გვქონდეს, ჩვენი თავდადებულის მოქმედებით ჩვენ გავიმარჯვებთ გავიმარჯვებთ, თუ რომ გავყვებით ჩვენი თანამოძმის—ქალაქის მოწინავე მუშათა მაგალითებს.

ჭალარა მუშა.

---

**მკითხველო, ხინდიხის ქვეშ ხოქვი, იცი თუ არა რომელიმე ავაზაკის ან დეზერტირის სახელი და ბინა. სირცხვილი შენ, თუ ამდენხანს არ მიგიცია ის სამართლის ხელში. ეხლა მაინც დაუყონებლივ ამხილე.**

## სალამი უკრაინიდან*)

ს. ს. დ. მ. პ. ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო შემდეგი წერილი:

„საქართველოს სოციალ დემოკრატიულ მუშათა პარტიის" კიევის ორგანიზაციის კომიტეტი საერთო პარტიულ კრების დადგენილებით ულოცავს საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიის დარსებას საქართველოს მუშებს.

დამოუკიდებელ პარტიის დაარსებით საქართველოს მუშები ინტერნაციონალში შევიდა საკუთარი მუშური პროლეტარული სახით. კიევის ორგანიზაცია დარწმუნებულია საქართველოს მუშების ხელში აღებული წითელი დროშა უფრო მაღლა იქნება აფრიალებული და ამით მუშათა ჯარს გაიტაცებს თავ-დადებული ბრძოლისაკენ, რათა განთავისუფლოს კაპიტალის ტყვეობაში მყოფი მუშის შრომა.

ამხანაგო მუშებო, თქვენგან შექმნილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა „ნიკოლოზ მეორის" და რუს მოხელეთა სახელმწიფოს ძველ ნანგრევებზე სიამაყეს წარმოადგენს, არა მარტო ჩვენთვის, არამედ რუსეთის სოციალდემოკრატიულ პარტიის შეგნებულ წევრებისათვისაც, რომელნიც რუსეთში არა ლეგალურ ცხოვრებას ეწევიან დიდი რევოლიუციის შემდეგაც.

ამხანაგებო, ერთად ერთი ჩვენი რესპუბლიკა წარმოადგენს გამონაკლისს ყოფილ რუსეთის ნაწილებიდან, სადაც თავისუფალია მეცნიერულ სოციალისტური აზროვნება და მუშაობა. თქვენი მუშაობა, ამხანაგებო, სწორი, სარგებლობას მოუტანს, არამც თუ საქართველოს რესპუბლიკას და მის შემქმნელ მუშებს, არამედ ყველა ქვეყნის მშრომელთ, რადგან მდგომარეობიდან შექმნილი შეგნება თქვენ ხალხის სასარგებლოდ გამოიყენეთ. ამით თქვენი სამშობლო დაუახლოვეთ მომავალ სოციალისტურ ქვეყნებს. სამწუხაროთ ეს არ შეიძლება ითქვას რუსეთის მუშებზე, რადგანაც ისინი ჯერ კიდევ ვერ გამოსულან რევოლიუციის ბურუსიდან და ვერ დასდგომიან გარკვეულ ხალხის სასარგებლო პოზიციას. ამით საფრთხეში იმყოფება რუსეთის მუშების ინტერესები და ცბიერი, დაუძინებელი მტერი მშრომელი ხალხისა ბურჟუაზია ადვილათისარგებლებს მუშების ასეთი უმწეო მდგომარეობით, როცა მონახავს შერჩეულ დროს, რომ ერთი დაკვრით ხელიდან გამოაცალოს მუშებს დარჩენილი ნაშთი რევოლიუციის მონაპოვარისა. საქართველოს მუშების მიზან შეწონილი ინტერესების დაცვის უნარი ძლიერ აფიქრებს ბურჟუაზიას საერთოდ და რუსეთისას კი განსაკუთრებით.

ამხანაგებო, დიდი ტანჯვა-მსხვერპლი შესწირეთ საქართველოს მუშურ რესპუბლიკის შექმნით საერთაშორისო მშრომელთა ოჯახს, მაგრამ შეუბრალებელი ცხოვრების კანონები კიდევ ბევრს მოითხოვს ჩვენგან, რადგან საერთაშორისო მუშის მყვლეფელი კაპიტალი კიდევ ძლიერია, მისი განადგურება და განთავისუფლება მუშებისა სოციალურ - ეკონომიურ ექსპლოატაციიდან ბევრ ენერგიას და მსხვერპლს მოგვთხოვს კიდევ. მაგრამ ეს ვერ შეგვაშინებს გამოცდილ და ომში ნაცად ქართველ სოციალისტ მუშებს. უკანასკნელ სასიკვდილო წვეთს, სანამ არ შევასმევთ ჩვენს გარს-შემორტყმულ მტრებს, მანამდის გამარჯვებულ მსვლელობას გისურვებთ მტერთა ბანაკში. ამხანაგურ სალამს გიგზავნით უკრაინიდან და გისურვებთ ნაყოფიერ მუშაობას თქვენი ინტერესების დასაცავათ და მშრომელ საქართველოს წარმატებისთვის. გაუმარჯოს საქართველოს და საერთაშორისო პროლეტარიატს!

ამასთანავე გიგზავნით პარტიის სასარგებლოდ მცირე ჩვენს წვლილს ათასს მანეთს.

საქ. სოც. დემ. პარტ. კიევის ორგანიზაციის კომიტეტის თავმჯდომარე: **სიმონ ლორთქიფანიძე**, მდივანი **გ. მეძმარიაშვილი.**

*) ეს წერილი დაგვიანებით მივიღეთ. რედ.

## განმარტებისათვის

(წერილი რედაქციის მიმართ.)

ბატ. რედაქტორო! წავიკითხე გაზეთ „საქართველოში" წერილი პატივცემულ პროფესორის სვიმონ ავალიანის შესახებ და მართალი უნდა მოგახსენოთ, არ მეგონა თუ, პასუხისმგებელი პირი მიმართავდა ისეთი ინსინუაციებს, ისეთ ცილისწამებას, როგორსაც იმ წერილში ჰქონდა ალაგი. მე აქ არ შევეხები სვიმონ ავალიანის პროფესორობას. ამის შესახებ საკმაო საბუთს იძლევა ავალიანის მეცნიერული ნაწერები და ის გარემოება, რომ ის ჩვენ უნივერსიტეტში მოწვეულია პროფესორათ. მაგრამ, ვინ იცის, იქნება ჩვენი უნივერსიტეტიც გაზეთ „საქართველოსათვის" იყოს „უნივერსიტეტი"

უფრო საინტერესოა წერილში პროფ. ავალიანის წარსული მოქმედება. წერილის ავტორი ამბობს ორ რამეს. ერთი, სვიმონ ავალიანი ემსახურებოდა ბოლშევიკურ რუსეთს და გამოიქცა იქიდან მაშინ, როდესაც იქ მოხალისეები შევიდენ. მეორე, როდესაც ბოლშევიკებმა ბურჟუაზიაზე წანაგლეჯი ფული გაიყვეს, სიმონ ავალიანს შეხვდა ხუთი მილიონი და ამ ფულით საქართველოში წამოვიდა, მაგრამ გზაში უბედურება ეწვია, ეს ფული ინგლისელებმა წაართვეს და რამდენიმე ხნით ციხეშიაც ჩასვეს. ერთიც და მეორეც თავიდან ბოლომდე ცილისწამებაა და სხვა არაფერი. სვიმონ ავალიანი მართლაც გამოექცა რუსეთს, მაგრამ გამოექცა ბოლშევიკურ რუსეთს. პეტროგრადიდან გამოქცეული, ის ოდესაში ჩამოვიდა წარსული ათას ცხრაას თვრამეტი წლის ნოემბერში და უნდოდა მაშინათვე გამომგზავრებულიყო საქართველოში, მაგრამ ამ დროს საკონსულოს წინაშე გადიშალა პრესპექტივები უკრაინასთან საქონლის გაცვლა გამოცვლისა. საფრანგეთის სარდლობის ინიციატივით ოდესაში დაინიშნა „განსაკუთრებითი თათბირი", რომელსაც მიზნათ ჰქონდა დასახული საქონლის გაცვლა გამოცვლის საქმის მოწესრიგება შავი ზღვის სანაპიროებზე. ამ თათბირში უნდა შესულიყვნენ დონის, უკრაინის, საქართველოს, ყუბანის და სხვათა წარმომადგენლები. რადგან სვ. ავალიანი ცნობილი იყო, როგორც კარგი ეკონომისტი, მე ვთხოვე მას დარჩენილიყო ოდესის საკონსულოში, როგორც ეკონომიური მრჩეველი და მიეღო მონაწილეობა, როგორც საქართველოს საკონსულოს წარმომადგენელს, ფრანგების მიერ დაარსებულ ეკონომიურ თათბირში. სვ. ავალიანი დროებით დათანხმდა წინადადებაზე. საქონლის გაცვლა-გამოცვლის მოწყობა შეუძლებელი შეიქნა, რადგანაც ოდესა ჩქარა ბოლშევიკებმა დაიკავეს. სვ. ავალიანს უნდოდა იმ წამსვე ოდესიდან წამოსვლა. „მე მეტი აღარ შემიძლია იმ კოშმარის გადატანა, რომელიც ბოლშევიკურ პეტროგრადში განვიცადე და რომელსაც ალაგი ექნება ბოლშევიკურ ოდესაშიო". მაგრამ ამ დროს მე, როგორც ოდესის კონსულთა კოლეგიის თავმჯდომარეს, მომიხდა უცხოელების ევაკუაციის მოწყობის საქმე. საევაკუაციო კომისიის თავმჯდომარეთ დავნიშნე სვ. ავალიანი, როგორც მცოდნე და საიმედო კაცი. მან მართლადაც საუცხოვოთ შეასრულა დავალებული საქმე და თვითონაც გამოემგზავრა იმავე გემით სტამბოლში. მგზავრებისათვის და გემის თვალყურის დევნებისათვის დანიშნული იყო ისევ სვ. ავალიანი, გოლანდიის კონსული ბ-ნი გუნცი და შვეციის—ბ-ნი ოზბერგი. ნათქვამიდან აშკარაა, თუ რომელ რუსეთს გამოექცა სვ. ავალიანი.

რაც შეეხება ხუთი მილიონის აღებას, მე ვფიქრობ, წერილის ავტორმა თავის ცილის წამებაააშენა შემდეგ ფაქტზე. ოდესაში ჩემთან მოვიდნენ სრულიად რუსეთის კოოპერატივების ცენტრალური კავშირის წარმომადგენლები და მთხოვეს საქართველოში წამოსვლის ნებართვა კოოპერატივებისთვის საქონლის საყიდლათ. ამ მიზნისათვის მათ ჰქონდათ ხუთი მილიონი მან. და შაქარი. მე ნებართვა მივეცი, მაგრამ სიფრთხილით, რომ საქართველოში ბოლშევიკების ფული არ შემოსულიყო სხვის სახელით, წინადადება მივეცი ეს ფული საკონსულოში შემოეტანათ ჩვენ მთავრობაზე გადასაცემათ, რომელიც მათ მისცემდა ან მათთვის საჭირო საქონელს და ან ფულს საჭიროებისამებრ. სწორეთ ამნაირი დირექტივები ჰქონდი მიცემული სვ. ავალიანს. მიუხედავათ იმისა, რომ ამის შესახებ ფრანგების სარდლობის ნებართვა აღებული იყო, ეს ფული სტამბოლში მაინც ჩამოართვეს ინგლისელებმა. ამაში გასაკვირვი არასფერია, თუ სახეში მივიღებთ იმ სიფრთხილეს და სიმკაცრეს, რომელსაც ინგლისელები იჩენდნენ სტამბოლში რუსეთიდან ჩამოსულების მიმართ. თუ ოდესიდგან გამოქცეული მიტროპოლიტი პლატონი და ღენერალი შვარცი სტამბოლში სასტიკ პირობებში ჰყავდათ ერთ ხანს, რაღას უზამდენ სხვებს? მაგრამ მიუხედავად ასეთი სიმკაცრისა, სვ. ავალიანი მაინც არ ყოფილა დაპატიმრებული იმ გემზე ჩასულებთან ერთად, როგორც საქართველოს საკონსულოს წარმომადგენელი. როგორც ცნობები მაქვს, ის ფული ინგლისელებს უკანვე დაუბრუნებიათ კოოპერატორებისათვის. აქედან აშკარაა, რომ სვ ავალიანს არავითარი კავშირი არ ჰქონია მილიონებთან. პირიქით, ოდესაში ის დიდ შევიწროვებას განიცდიდა უფულობისა გამო. ფულის გულისათვის ის თავის ბიბლიოთეკას ჰყიდდა.

ექვსი თვის განმავლობაში მოწყვეტილი ვიყავი საქართველოს და მის პრესას, მაგრამ სრულიად არ შემეძლო წარმომედგინა, თუ გაზ. „საქართველოს" მწერლები ისეთ სიწვრიმალეს, ისეთ ჩხირიკედელაობაზე მივიდოდნენ, ბოროტათ გამოიყენებდნენ პატიოსანი კაცის პატიოსან მუშაობას, თუნდაც რაიმე პოლიტიკური მოსაზრებით და სრულიად უსაფუძვლო ცილს დასწამებდნენ მას, როგორც ეს ჩაიდინა ხსენებულმა ორგანომ თავის უშინაარსო წერილში.

რესპუბლიკის კონსული ოდესაში ეგ. უშვერიძე.

P. S. თუ ვინმეს დაუჯერა გაზ. „საქართველოს" ცილისწამებას და ან სურს ახლო გაეცნოს ამ საქმეს, მას შეუძლია ისარგებლოს საკონსულოს არქივით, რომელშიაც ინახება საბუთები ამ საქმის შესახებ.

ეგ. უშვერიძე.

## უცხოეთა დედა ქალაქში

ჩვენს მტრებს რომ ჰკითხოთ, ქართველებმა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან საქართველოდან გააძევეს ყველა, ვინც ქართველი არ იყო. ასეთი ჭორებით აღიზიანებენ ჩვენს სამტროდ ყველას. ამას სჩადიან უმთავრესად ის უმადურები, ვინც ჩვენშივე ცხოვრობს, აქაური მოქალაქეობრივი თავისუფლებით სტკბებიან, ამავე გაიძახიან ის უტიფარი-უსტიბრონი, ვინც ჩვენგან წავიდნენ, ეგონათ თავის ქვეყანაში სამოთხე იყო, მაგრამ ნაცვლად სამოთხისა დახვდა ჯოჯოხეთი და ისევ უკან (ჩვენში) მის მიერ ნაფურთხ საქართველოს მოაშურეს, ისევ ჩვენვე შემოგვეხიზნენ და ჩვენივე ხარჯით ჩვენვე გვლანძღავენ. საქართველოდან და განსაკუთრებით დედა ქალაქიდან რომ უცხოები (არა ქართველები) გაეძევებინათ, მაშინ ტფილისში ბინის ასეთი საარაკო და წარმოუდგენელი კრიზისი არ იქნებოდა. ყველასათვის აშკარაა, რომ ტფილისი დღეს სავსეა, ყველა ბინა დაჭერილია და ერთი ოთახის მაძებარი 3—4 თვე ძებნას უნდება. ტფილისს არამც თუ აქ ნამყოფები დაუბრუნდნენ, არამედ სხვებიც აიყოლიეს და მოიყვანეს. რუსი, თუ კი ოდნავ მას ხელს უწყობს ქონებრივი მდგომარეობა, არაფერს არ ზოგავს საქართველოში შემოსახიზნად, მათთვის (დენიკინ რუსებისათვის) საქართველო „აღთქმის ქვეყანაა", ამიტომ ყველა აქეთ მოილტვის და ტფილისი კიდეც გაავსეს. ჩვენ არ გვსურს „წაქცეულს ვცემოთ" ისედაც დაჩაგრული უარესათ დავჩაგროთ. დაე ისინი უმადურები იყვნენ, მაგრამ ჩვენ ჩვენი კეთილშობილება მაინც უნდა შევირჩინოთ, მაგრამ არც ის ვარგა „შინ ბავში გვიტიროდეს" და სხვებს კი ტაბლას ურიგებდეთ, თავისთვის არ ვიყოთ და სხვებს ბუზებს უგერებდეთ. შეიძლება სტუმრები ისე დავაბინაოთ, რომ ჩვენ თვით სახლ გარეთ არ დავრჩეთ. ჩვენს დედა ქალაქში ძლიერ ბევრია ისეთები, რომლებიც აქ არაფერ საქმეში არ არიან, არამედ ცხოვრობენ მხოლოდ, უნდა მოხდეს ამათი უტყუარი რეგისტრაცია (აღწერა) და ვინც ასეთია, თამამად შეიძლება მათ ჯერ ზრდილობიანად და მერე კი იძულებით შევთავაზოთ იცხოვრონ მშვენივრად და ყველაფრით შემკულ-მოწყობილ აგარაკ ბორჯომში, სურამში, წყნეთში და მსგავს ადგილებში, ამ ჟამად იქ სახლებიც იაფია და ცხოვრებაც. ასეთი ზომა არავის შეურაცხყოფა არ იქნება, ჩვენთვის კი ბევრნაირად სასარგებლო დარჩება.

ამ. წ—ძე.

## სრულიად საქართველოს

**აგრონომიულ დახმარების მოღვაწეთა ყრილობაზე ქართულ სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის გამოფენის შესახებ.**

ყველას კარგად მოეხსენება რამდენად ღარიბია ქართული სამეცნიერო და პოპულიარული ლიტერატურა სასოფლო-სამეურნეო შინაარსის გამოცემებით. სპეციალურ სასოფლო-სამეურნეო მწერლობის განვითარებას წინ მრავალნაირი დაბრკოლება ეღობებოდა და მათ შორის უმთავრესად ის განსაკუთრებული სოციალ პოლიტიკური პირობები, რომლებიც რუსეთის ბატონობამ ჩვენი ქვეყნისათვის შექმნა. საქართველოს განახლებულმა დამოუკიდებელმა არსებობამ ქართულ ენას ერთი მხრივ თავისი კანონიერი ადგილი მოუპოვა მშობლიურ სასწავლებლებში, მეორეს მხრივ მონობისაგან განთავისუფლებულ ქვეყანას მის საწარმოვო ძალთა განვითარებისათვის ფართე ასპარეზი გადუშალა და მით შექმნა ისეთი პირობები, რომლის გამოისობით, როგორც განათლებულ საზოგადოებაში და მოსწავლე ახალგაზრდობაში, აგრეთვე ხალხის ფართო მასსაში ყოველნაირ სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის დიდი მოთხოვნილება დაიბადა. სასოფლო სამეურნეო ჟურნალი, სასოფლო მეურნეობის სხვადასხვა დარგიდან სამეცნიერო წიგნები, სახელმძღვანელოები და პოპულიარული ლიტერატურა—აი რას მოითხოვს დაჟინებით ჩვენი ცხოვრების სინამდვილე. ყველა ეს აუცილებლად უნდა იყოს ჩვენ ბუნებრივ ეკონომიურ პირობებთან შეფარდებული და სასოფლო სამეურნეო მეცნიერების ეხლანდელ მდგომარეობაზე და უახლოეს გამოკვლევებზე აშენებული.

უკვე დაეტყო ერთგვარი გამოცოცხლება ამ დარგს; ამ საქმის გარშემო უკვე ნელ ნელა ამოძრავდნენ ძალები. მოკლე ხანში რამდენიმე წიგნი გამოიცა. წინადაც გამოდიოდა თითო ოროლა პოპულიარული ბროშიურა და საფუძვლიანი წიგნიც; სასოფლო-სამეურნეო ჟურნალების ისტორიამ ხომ თითქმის ნახევარ საუკუნესაც გადააცილა („გუთნის დედა" კერესელიძესი მესამოცე წლებში). და მანამ რაიმე ახლის შექმნას შევუდგებოდეთ, სასარგებლო და საჭიროც არის, სახელდახელოდ მაინც გადავავლოთ თვალი იმას თუ რა გაკეთებულა ამ დარგში და რა გვაქვს ამ ჟამად. ამ მოსაზრებით აგრონომიულ ყრილობის საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდიუმმა გადასწყვიტა მომავალ ყრილობისთვის **ქართულ სასოფლო სამეურნეო ლიტერატურის გამოფენა** მოაწყოს. განზრახულია თავი მოუყარონ, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნება, ყველა წიგნებს და აგრეთვე სასოფლო სამეურნეო ჟურნალებს, რომლებიც კი როდისმე ქართულ ენაზე გამოცემულა. ბევრი მათგანი, შეიძლება მეტი წილიც, სულ აღარ მოიპოვება გასაყიდათ, მაგრამ დარჩენილი აქვთ ავტორებს, გამომცემლებს, კერძო პირებს და სხვ. კომიტეტი მიმართავს ყველა დაწესებულებებს და კერძო პირთ, ვისაც კი შეუძლიან რაიმე დახმარების აღმოჩენა, ხელი შეუწყოს ქართულ სამეურნეო წიგნების და ჟურნალების საკმაოდ სრულ კოლლექციის შედგენაში, როგორც თავის საკუთარ წიგნების გადმოცემით, აგრეთვე ცნობების მიცემით იმის შესახებ, თუ სად და რანაირად მოხერხდება ზოგიერთა იშვიათ გამოცემათა შოვნა.

ვინაიდან საორგანიზაციო კომიტეტი მატერიალურად ძალიან არის შევიწროვებული და ყველა გამოცემათა შეძენას ვერ მოახერხებს, იმედოვნებს, რომ ბევრნი ამ კეთილ საქმისთვის წიგნებს უსასყიდლოდ დაუთმობენ. რაც შეეხება ზოგიერთა იშვიათ წიგნებს, რომელთაც პატრონი ვერც შემოსაწირად და ვერც გასაყიდათ ვერ გაიმეტებს, კომიტეტი დიდის მადლობით მიიღებს თავის სრულ პასუხისმგებლობით, თხოვებით, მხოლოდ გამოსაფენად და, ყრილობის დახურვის უმალ პატრონს დაუბრუნებს სრულად.

შეძენილი ან შემოწირული წიგნები განზრახულია შემდეგში ისევე სრულიად მომავალ სასოფლო სამეურნეო ჟურნალის რედაქციას გადაეცეს.

წიგნების გადმოგზავნა შეიძლება საორგანიზაციო კომიტეტის სახელზე ან პირადათ გადაეცემა კომიტეტის მდივნებისათვის გ. ფ. დეკანოზიშვილს ან გ. ტ. რცხილაძისათვის (მიწად-მოქმედების სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო განყოფილება).

ყოველ შემთხვევაში წერილობით ან პირადათ მოგვაწოდეთ ცნობები ან თანხმობა წიგნების გადმოცემის შესახებ და კომიტეტი თვითონ მოიკითხავს საგანგებოდ გამოგზავნილ კაცის საშუალებით. (ამ პირს აუცილებლად თან უნდა ჰქონდეს კომიტეტისაგან მიცემული დავალების მოწმობა). საფოსტო ხარჯებსაც რა თქმა უნდა კომიტეტი კისრულობს სრულიად.

დასასრულ საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდიუმი სრულ იმედს გამოსთქვამს, რომ საზოგადოების ფართო დახმარებით იგი შესძლებს ამ მეტად ძნელ საქმის კეთილად დაგვირგვინებას.

საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მაგიერ **დ. გედევანიშვილი.**
მდივანი **გ. რცხილაძე.**

## ავჭალის წყალსადენი

ავჭალის წყალსადენში სამწუხარო შემთხვევა მოხდა 14 ღვინობისთვეს; ძველს განყოფილებას ცეცხლი გაუჩნდა და დაიწვა. ცეცხლი გაჩნდა დაახლოვებით 6 ნახ.—7 საათზე, საღამოს. იმ წუთშივე იქნა ზომები მიღებული: მოცვივდნენ ადგილობრივ მცხოვრები მუშები, იწყეს მუშაობა, სანამ სოფელ ავჭალიდან მოეშველებოდნენ აქვე მომუშავე მუშები, მუშაობა მწყობრი და თავზე ხელაღებული იყო და კიდეც ამან გადაარჩინა, რაც ძვირფასი იყო, ე. ი. ახალი განყოფილება, სადაც ორთქლის ტურბინები და დიზელები დგანან. ბევრნი მართლაცა და თავზე ხელაღებით ებრძოდნენ ცეცხლს. პირველ ყოვლისა მთელი ძალა იყო მიმართული ქვაბების განყოფილებისაკენ (კაჩეგარისაკენ) სადაც 3 უზარმაზარი ქვაბი ორთქლითა და წყლით სავსე ენთო. აქ შეიძლებოდა ჯოჯოხეთური აფეთქება მომხდარიყო და ამიტომაც პირველი ყურადღება აქეთ იყო მიმართული. ნაჯახები არ აღმოჩნდა მთელ წყალსადენში და იძულებული იყვნენ მუშები კედელ სახურავები ხელითა და წერაქვებით ეგლიჯნათ, რაც მეტად აფერხებდა მუშაობის სისწრაფეს. რადგან საიმედო არ იყო სახურავის აყრის მოსწრება უიარაღობის გამო იძულებული ვიყავით ქვაბებიდან ორთქლი და წყალი გამოგვეშვა, რომ თუ დაიწვოდა, აფეთქება მაინც არ მომხდარიყო, მაგრამ მწყობრმა და მხნე მუშაობამ სძლია ყველაფერს და ცეცხლს გზა მოუჭრა სახურავის აყრით. ახლა საჭირო იყო დახსნა ახალი მანქანების განყოფილებისა და დიდის წვალებით ესეც მოახერხეს.

ადვილად გაიგებთ, თუ რა გაჭირვებით მუშაობა უნდა ყოფილიყო მუშაობა ბნელაში და უიარაღოთ. წყალსადენის საწყობში არ აღმოჩნდა არამც თუ ცეცხლის საქრობი მილი (შლანგი), რომლითაც ცეცხლის გაჩენისთანავე შეიძლებოდა ჩაქრობა, არამედ არ აღმოჩნდა ვედროები და ნაჯახიც კი. 10—12 ვედრო სახლებიდან (აკუთრებ) გამოიტანა ქალებმა და ამით აჭრნდათ წყალი კიბით სახურავზე და ასხამდნენ ცეცხლს, ცეცხლი კი საშინელი სისწრაფით ვითარდება, რადგან 30—32 წლის წინეთ აშენებული სახლის ფიჭვის შეღებილი ჭერი ისე იწვოდა, როგორც ბამბა, მიუხედავათ ყველა ამისა მარჯვეთ მიმართულმა ხელმა მუშებისამ მაინც მოუჭრა გზა ცეცხლს და მიასუსტა კიდეც დაახლოვებით 9 საათზე. ამ დროს ცეცხლის მქრობელმა რაზმმაც მოუსწრო და მალეც ჩააქრეს, რისთვისაც დიდ მადლობას უძღვნის წყალსადენის მუშა მოსამსახურენი, რომელნიც აღტაცებულნი არიან მათი ჩქარი მოსვლით ქალაქიდან ავჭალაში. ცეცხლი ისე ვითარდებოდა, რომ რაზმის მოსვლამდე რომ მუშები არ მიშველებოდნენ, ეხლა წყალსადენში წყალსადენი აღარ იქნებოდა. ეხლა კი უნდა მოვახსენოთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ შთაბეჭდილება, რომელსაც წყალსადენის დაწვა ახდენს, არ არის იმდენათ. ცეცხლის გამო ქალაქს წყალი არ დაჰკლებია, რადგან იმ განყოფილებაში, საიდანაც ქალაქს წყალი ეძლევა ბოლოც კი არ შესულა ამის დასამტკიცებლათ მოვიყვან ორ ციფრს: ცეცხლის გაჩენის წინ დღისას და გაჩენის შემდეგ ეს ციფრები გვეტყვის მიცემული წყლის რაოდენობა. 13 ღვინობისთვეს ე. ი. დაწვის წინ დღით ქალაქმა მიიღო წყალი 1,064,000 ვედ. 17 ღვინობისთვეს ე. ი. ცეცხლის შემდეგ 1,008,600 ვედრო. ასე რომ ცეცხლს ნურავინ აწერს წყლის სიმცირეს, ეს გახლავთ სხვადასხვა ტეხნიკური ნაკლის ბრალი. ყოველ შემთხვევაში კარგი იქნებოდა საზოგადოება ხშირათ მოვიდოდეს ხოლმე და ჩაიხედავდეს იმ წყალში, რომელსაც თვითონ სვამს.

X.

## ს.-დ. პარტიაში

**ტფილისი.** 30 ოქტ. შესდგა ს. ს. დ. მ. პ. მესამე რაიონის კოლექტივის სხდომა. ტფილისის კომიტეტიდან მოხსენება გააკეთა ამხ. წივწივაძემ, რომელიც კოლექტივმა უკამათოთ მიიღო. სახალხო უნივერსიტეტის ლექციების მომწესრიგებელი კომისია აირჩია კოლექტივმა, რომლებიც პასუხისმგებელი იქნებიან თავიანთ საწარმოვო დარგებიდან ლექციებზე გამოგზავნონ მსმენელები. კოლექტივმა აირჩია აგრეთვე თავის შემადგენლობიდან მუდმივი კომისია, რომელშიაც შედიან დ. ჩუთლაშვილი, ნიკო ბედინაშვილი და ოლ. ბაქრაძე. მათ ევალებათ ავლაბრის რაიონის საწარმოვო დარგებში მართონ კრებები და ამხანაგებს მოუწოდონ კულტურული მუშაობისაკენ.

ბიბლიოთეკის გახსნის შესახებ: კოლექტივი წინადადებას აძლევს სახალხო უნივერსიტეტის განყოფილების გამგეობას, რაც შეიძლება მალე გახსნილ იქნას ბიბლიოთეკა-სამკითხველო და ამ მიზნით აირჩია კომისია.

„ბავშვთა მფარველი" საზოგადოებისთვის ოთახის მიცემის შესახებ კოლექტივმა დაადგინა: მიეცეს წინადადება ავლაბრის სახალხო უნივერსიტეტის გამგეობას, რომ ამ უკანასკნელმა ერთი ოთახი დაუთმოს „ბავშვთა მფარველ საზოგადოებას" და სანიტარულ საბჭოს.

მოსე ჯანველოვის შესახებ კოლექტივმა დაადგინა: ვინაიდან კოლექტივს არჩეული ჰყავდა საგამომძიებლო კომისია, რომელმაც ვერავითარი საბუთი ვერ აღმოაჩინა მოსე ჯანველოვის გასამტყუნებლად, მოსე ჯანველოვს მოეხსნას ბრალდება, რომელიც წამოყენებულ იყო მისი პიროვნების წინააღმდეგ ზოგიერთი პირებისაგან. ამავე დროს კოლექტივი შესაძლებლად სცნობს მ. ჯანველოვი ირიცხებოდეს ს. ს. დ. მ. პ. წევრად.

ამხ. არმენაკ უზრიევს გამოეცხადოს მადლობა, რომელმაც 50 მან. შემოსწირა კოლექტივს.

დასასრულ კოლექტივმა გადასწყვიტა მოწვეულ იქნას ამხ. ათაბეგოვ ტუმასი, რომელიც მოხსენებას წაიკითხავს პარტიული მუშაობის შესახებ. კოლექტივი მოხსენების დღეთ ნიშნავს 9 ნოემბერს, კვირას, დილის ათ საათზე და საჭიროდ სთვლის ამ მოხსენებას დაესწრონ ავლაბრის რაიონის მოწინავე ამხანაგები.

მდივანი

## მუშათა შორის

**ქ. ტფილისი.** ჩვენ არა ერთხელ აღგვინიშნავს ტფ. პარიკმახერთა მუშათა უმრავლესობის ზნეობრივი სიმდაბლე და ამაზე ამ ჟამად მეტს არას ვიტყვით. გვინდა მხოლოთ აღვნიშნოთ პარიკმახერთა პროფესიონალური კავშირის ზოგიერთ „ხელმძღვანელთა" დაუშვებელი ქცევა. ნაცვლათ იმისა, რომ მაგალითს აძლევდენ კავშირის წევრები თავიანთი ზნეობრივი სისპეტაკით, ისინი იქცევიან სულ წინააღმდეგ... ამ მხრივ შეიძლია მოვიყვანოთ ბევრი მაგალითები—თუ ამას საჭიროება მოითხოვს... პარიკმახერებს აქვთ თავიანთი პროფესიონალური კავშირი, მაგრამ არ შეიძლება ითქვას, თითქოს ისინი იყვნენ შეკავშირებული—ამ სიტყვის ფართე მნიშვნელობით. გადის თვეები და წევრები არ იხდიან საწევრო გადასახადს, კავშირში მოდიან მხოლოთ მაშინ, თუ კერძო, საკუთარი საქმე აქვთ. უნდა ითქვას: საწევრო გადასახადების არ გადახდაში გამგეობასაც მიუძღვის ბრალი. ეს ნაკლი უნდა გასწორდეს. ვაჭარ სპეკულიანტებმა ყველაფერს ფასი მოუმატეს „მამუთიც" აქვთ! სანიტარული გადასახადი შეგვაწერეს! საპარიკმახერო სადალაქოების პატრონებიც არ ჩამორჩნენ ვაჭარ-სპეკულიანტებს—ანდა როგორ ჩამორჩებოდნენ. ეს ხომ სირცხვილია! მათაც მოუმატეს ფასებს. არც ერთ მათგანს კი სანიტარული გადასახადი ჯერ არ გადაუხდიათ. მგონი განზრახვა აქვთ: მიმართონ თხოვნით ქალაქის თვითმართველობას, რომ თვითმართველობამ შეიბრალოს და აპატიოს გადასახადი!..

ღებულობს თუ არა რაიმე ზომებს ფასების აწევის საწინააღმდეგოთ პარიკმახერთა პროფესიონალური კავშირი? არავითარს! ზოგიერთ საპარიკმახეროს მუშებს თვით სურთ გახდნენ ამ სპეკულიაციის(?) მონაწილენი. მაგალითისთვის შეიძლება დავასახელოთ „ვრეგეზარის" ფირმის საპარიკმახეროს მუშების საქციელი, სადაც ყველაზე მეტი მუშები მუშაობენ. ხსენებულ საპარიკმახეროს პატრონებმა ბ-ნ მხეიძემ 13 სექტემბრიდან რამოდენიმე პროცენტებით მოუმატა ფასებს. მუშებმაც მოითხოვეს სამუშაო ხელფასის მომატება—კავშირის დაუკითხავათ. ბ-ნმა მხეიძემ არ დააკმაყოფილა მოთხოვნილება იმ სახით, როგორც მუშები თხოულობდნენ. და აი, მხოლოდ შემდეგ, მუშებმა ჩამოხსნეს სახელოსნოში გაკრული ფასები, და ჩამოხსნეს არა ორგანიზაციულათ—კავშირის გარეშე. მუშები ფასების მომატებას უნდა ებრძოდნენ—თუ კი ბრძოლა შესაძლებელი იქნება—ორგანიზაციულათ.

რიხსვა.

## პროვინცია

**ბორჯომი.** ბორჯომის რაიონში ამ ბოლო დროს გაჩნდა აქა იქ ყაჩაღები, და ამით შიშიანობა შეიტანეს აქაურ მცხოვრებლებში, მაგრამ უყურადღებოდ არ დაუტოვებიათ აქაურ ორგანიზაციებს და მით უმეტეს ბორჯომის რაიონის მილიციის უფროსს ე. დევიძეს. დიდი ენერგია გამოიჩინა მილიციის უფროსმა თავის ზოგიერთ მილიციონერებით და აღმოაჩინა ორი ჯგუფი ყაჩაღებისა, ერთი ბორჯომის საზოგადოებაში და მეორე ბაკურიანის საზოგადოებაში. ამ ამბავმა თავზარი დასცა აქაურ ნაძირალებს და აქაური მცხოვრებლები მშვიდობიან ცხოვრებას მიეცა. იმედია, რომ მილიციის უფროსი ე. დევიძე კვლავ გამოიჩენს დიდ ენერგიას ასეთ ნაძირალების აღმოსაფხვრელათ და ამით უფრო მეტს ნდობას და სიმპატიას მოუპოვებენ ჩვენს დემოკრატიულ მთავრობას ხალხში.

ქ. დინჯაძე.

—

**დ. ხარაგოული.** 15 ოქტომბერს აქ მოხდა ხარაგოულის საზოგადოების მცხოვრებთა საზოგადო ყრილობა, რომელზედაც დაესწრო შორაპ. სამაზრო ერობის თავმჯდომარე ს. მენაღარიშვილი. მან გააკეთა მოხსენება თემების მნიშვნელობაზე და მის არჩევნებზე, რის შემდეგ შეეხო საზოგადოთ ჩვენს მდგომარეობას და მთავრობის მოქმედებას. მომხსენებლის შემდეგ ილაპარაკეს ორატორებმა სოც.-დემოკრატების და ს.-ფედერალისტების მხრით უკანასკნელი ორატორი შეეხო სხვათაშორის მიწის საკითხს. ბოლოს მომხსენებელმა ვრცლად უპასუხა ორატორებს და მოუწოდა დამსწრე საზოგადოებას, მიიღონ არჩევნებში ცხოველი მონაწილეობა. მომხსენებელმა კარგი შთაბეჭდილება დასტოვა მსმენელებზე.

ტ—ე.

**ს. ერტისი.** (ტფ. მაზრა). 7 ოქტომბერს სოფელ ერტისში მოხდა ყრილობა გლეხებისა. დაესწრო 60 კაცამდე. როგორც კრებაზე გამოირკვა, დიდი პროვოკაცია იყო გავრცელებული გადასახადების გარშემო ხალხში. „დენიკინი მოდის და ჩვენს განთავისუფლებას აპირობს ამ გადასახადებისაგან", გაევრცელებინათ ხმა პროვოკატორებს. სიტყვა წარმოსთქვა მომენტის და განსაკუთრებით გადასახადების შესახებ პროპაგ. ათანასე ქვათაძემ. სიტყვის შემდეგ კრებამ დაადგინა, დაიჭირონ ის პირები, ვინც გაავრცელებს ცრუ ხმებს ჩვენი რესპუბლიკის წინააღმდეგ. იმავე საღამოს მოხდა ადგილობრივ სოც. დემ. პარტიის წევრთა კრება. დაადგინეს, ებრძოლონ პროვოკაციას და ხელი შეუწყონ თავისუფლების გამტკიცებას უფრო ენერგიულათ, ვიდრე აქამდე. სულ 54 კაცია პარტიის წევრათ ჩაწერილი, რომელიც დაყოფილია ათეულებათ და ჰყავთ ათის თავები. ერტისის ორგანიზაცია დაკავშირებულია კოდის საზოგ. ორგანიზაციასთან.

მოხეტიალე რაჭველი.

—

**ბანძა** (სენაკის მაზრა). ბანძაში არსებობს საერობო საავათმყოფო და აფთიაქი. ბანძის საერობო გამგეობის მიერ საავათმყოფოს ექიმათ მოწვეულ იქმნა ბ. ჟორდანია. ხსენებულ ერობასა და ბ. ჟორდანიას შორის ყოველთვის უთანხმოება არსებობს. ამას წინეთ საერობო აფთიაქიდან დათხოვნილ იქმნა აფთიაქის გამგე ქალი შურღაია უმიზეზოთ და მის ადგილას ბ. ჟორდანიამ ვინმე გვაზავა მოიყვანა, რომელიც ხონის ერთ ერთ აფთიაქიდან ყოფილა დათხოვნილი. ბ. გვაზავა ვერ მსახურობს რიგიანათ.

ასეთი ვაჟბატონების მეოხებით საზოგადოებას გული უცრუვდება და მიდიან კერძო აფთიაქში, სადაც უფრო ღმობიერათ და თავაზიანათ ექცევიან. ამისათვის მივაქცევ, როგორც ადგილობრივი, ისე სამაზრო ერობის ყურადღებას, რომ იქნას ყოველივე ეს გამოძიებული და შეიძლება ბევრი სხვაც გამოჩნდეს და მით ბოლო მოუღოთ მათ ასეთს თვითნებობას.

ში—რი.

## წერ. რედაქციის მიმართ

**ღია წერილი ტფილისის ღვინისა და კონიაკის ქარხნების მუშა მოსამსახურეთა პროფეს. კავშ. თავმჯდომარე ბ. პეტრე ქურხულს.**

ბ. პეტრე! ორ წელზე მეტია, რაც აღნიშნული კავშირის გამგეობა თქვენის თავმჯდომარეობით არჩეულია. ამ ხნის განმავლობაში გამგეობამ არ ინება თავის ამომრჩევლებისათვის კავშირის მდგომარეობა და ანგარიში ეცნობებია. მიუხედავათ ყველა მუშა მოსამსახურეების სურვილისა და შინაგან საქარხნო კომიტეტების განცხადებისა, დღემდე არ იწვევთ საზოგადო კრებას.

ყველა ეს ხდება იმ დროს, როცა თებერვლის რევოლიუციის პირველ თვეებში არჩეული სარევიზიო კომისია და გამგეობა ფაქტიურათ აღარ არსებობენ.

კავშირის ზოგიერთ წევრთა სიტყვით, თქვენ პირადათ რატომღაც აჭიანურებთ კრების მოწვევას, რაც სამართლიან აღელვებას იწვევს მუშებში.

უკანასკნელად გაძლევთ წინადადებას, მოიწვიოთ ერთი კვირის განმავლობაში კავშირის წევრთა საზოგადო კრება, და თქვენი მოქმედების შესახებ მას მოახსენოთ.

კავშირის წევრთა ერთი ჯგუფის მონდობილობით **გრ. შარაშიძე.**


## განცხადებანი

სახელმწიფო მამული „სკრა"
ნამყენი ხეხილი [illegible] და თესლეულობა
**მოიკითხეთ კატალოგი**
სად. სკრა—გორის მაზრა.
(2906—10—1)

**ქალაქის სანერგე ბაღში**
ელიზავეტის და მუშტაიდის ქუჩის კუთხე.
იყიდება იაფ ფასებში
აყვავებული ხრიზანტემები, კაპარისები, ტუიები, კომპაქტიური და უბრალოები და სხვა მრავალნაირი დეკორატიული მცენარეები ბაღჩებისთვის.
(2850—2—2)

**რვეულები**
მოწაფეთათვის, საუკეთესო ქაღალდისაგან იყიდება ბითუმათ და ცალობით. მისამართი: ვორონცოვის ძეგლის ახლო, ვ. მალხაზიანის მაღაზია.
(2752—10—6)

ექიმი **ნიკოლოზ მახვილაძე**
იღებს განსაკუთრებით შინაგან სნეულებით ავადმყოფს ყოველ დღე საღამოს 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11 (ზემელის აფთიაქის ახლოს).
(2795—თ.)

მედიცინის დოქტორი [illegible] უნივერსიტეტისა [illegible]
შინაგანი ავადმყოფობა, [illegible] გულის. იღებს ახალ რენტგენის— [illegible] ავადმყოფებისათვის, ღარიბებს უფასოთ ყოველ დღე დილის 8—12 საათამდე და საღამოს 6—9 ს. [illegible] ქ. № 23, ტელეფონი 7—92.

ექიმი **ბ. ი. მირიანაშვილი.**
შინაგანი სნეულებიანი. მიღება საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირისა. მე-2 სახლი ანდრეევის (№ 74, ბინა № 1) ვაგზლის ქუჩების კუთხიდან. ვაგზლის აფთიაქის ახლო. (2849—თ.)

ექიმი **არუთინოვი.**
დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფთა მიღება. შინაგან სნ. ავათმყოფების დილის 9 ნახ.—11 ნახ. საათ. ვენერიული (სიფილისი, ტრიპერი და მათი შედეგები) კაცების საღამოს 5—6 საათ. ქალების საღ. 6—7 საათ. „914" „606" შეშხაპუნება. მიხეილის პროსპ. № 80 ბინა [illegible] (თ. 2816)

ექიმი **ივ. ბოკერია**
იღებს ქირურგიულ, ქალთა სნეულებით და საკუშერო ავადმყოფებს ყოველ დღე ვაგზლის სამკურნალოში 12—1 ს. ვაგზლის ქუჩაზე, შიხინოვის აფთიაქის გვერდით, სახლი 8, ტელეფონი 6—95. (თ. 2744)

ექიმი **ა. [illegible]**
შინაგანი ავათმყოფობანი. ყოველმხრივი გამოკვლევა და ფიზიკური მეთოდებით აქიმობს გულის, ფილტვების, კუჭის და [illegible] ავათმყოფობათა. **რენტგენის სხივები.** კრილოვის ქ. სახლი № [illegible] გონიელოვისა, ბინა № 3. მიღება დილის 11—12 საათ. და საღამოს 4—8 საათამდე. (თ. 2642)

დოქტორი **[illegible]**
სპეციალურად ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებიან ავადმყოფთა მიღება დილის 11—12 საღამოს 4—5 ნახ. საათ. გერმანელთა სამხედრო საავათმყოფოში ნაზერიენაია ქ. № 15 კვირა დღეების გარდა (2603—2—2)

**ოზურგეთში**
ექიმი **ს. ვ. [illegible]**
მიიღებს ავათმყოფებს შინაგან სნეულ. ფილტვების, გულის, კუჭის და ნაწლავების. ჰლექის ექიმობა „ტუბერკულინით" და „ფოსფაციდით", ვენერიული: სიფილისი და მისი შედეგები—914" და „606" შეშხაპუნებით.

ექიმი **[illegible]**
მიიღებს განსაკუთრებით ყელის, ყურის და ცხვირის ავადმყოფებს ყოველ დღე 11—12 საათ. დილით, 5—7 საათ. საღ. მიხეილის პრ. 117, ტელ. 13—27.

ექიმი [illegible]
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 9—11 და საღამოს 5—8 საათამდე. [illegible] მისამართი: [illegible] ქუჩა № 33.

ექიმი **ლ. ა. [illegible]**
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე ჩერქეზიშვილის ქუჩა № 37, ავჭალის აუდიტორიის ახლო.

ექიმი ქალი **ს. ა. [illegible]**
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან ქალის და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბებიო დარიგებას. [illegible] წამლობა (606—914) დილის 10—12 ს. და საღამოს 5-6 ს. პლეხანოვის პრ. № 119, ტელეფონი № 9—26.

ექიმი **იოსებ რაჟდენის ძე ცინცაძე**
იღებს ვენერიულ სნეულ. ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათ. ყოველდღე. პლეხანოვის პრ. № 121, ბინა 4, ტელეფონი 11—06.

**ვახლევთ ძველ კალოშებს**
ვინც საჭიროებს კალოშებს—მოგვიტანოს თავისი ძველი კალოშები გასაახლებლად კალოშების ჩამომსხმელ სპეციალურ სახელოსნოში (მიხეილის ქ. № [illegible] აპოლოს გვერდით). განახლებული კალოშები არის მკვიდრი და გამძლე და შეიძლება ატაროთ როგორც ახლები მთელი ზამთრის განმავლობაში.
ფასები ხელმისაწვდომია. (2908—2—1)

**„ინტელიგენტ ქალთა ჯგუფი"**
რომელიც იღებს ყოველ გვარ საკერავს და ასწავლის ჭრა კერვას, ქარგვას, [illegible] საფენლების შეკერვას და სხვადასხვა ხელსაქმეებს ხელმისაწვდომ ფასებში, აგრძელებს მოწაფეების მიღებას. მისამართი: ვერის დაღმართი № 3, ბინა 9, ეზო[illegible] (2783—8—3)

**მეოთხე რაიონული კოლექტივი**
ხუთშაბათს, 6 ნოემბერს, საღ. 6 ს. ვერის მუშათა კლუბში იწვევს ს. ს. დ. მ. თფ. ორგ. მეოთხე რაიონის პარტიის წევრთა
**საზოგადო კრებას**
დღის წესრიგი: 1) მოხსენება კოლექტივის ხუთი თვის მუშაობის შესახებ (აპრილიდან—სექტემბრამდე) 2) სარევიზიო კომისიის მოხსენება, 3) მიმდინარე კითხვები. ეს კრება გაგრძელებაა გასული ხუთშაბათის კრების და კანონიერად ჩაითვლება რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს.
მე 4 რაიონული კოლექტივი. (ჟფ. 2—2)